# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 4 დეკემბერი 2002 №231 (1753) | ფასი 50 თეთრი


# ყველამ იცის: უმოქმედობა საშაროა
## ალბანეთს ბრიგელი, ირლანდიას ტრუსიე, საქართველოს...



REUTERS ტირანადან

ვინ აღარ ახსენეს — ირლანდიის ნაკრებიდან მიკ მაკარტის წასვლის მერე ბრიტანეთში უმუშევარი თუ მომუშავე ლამის ერთი მწვრთნელიც არ დარჩენილა, მაკარტის სავარაუდო მემკვიდრედ რომ არ გამოეცხადებინათ. როი კინიც კი ახსენეს. ცოტა ხანში თავდაპირველი აჟიოტაჟი ჩაცხრა და ახლა, ახალი კანდიდატიც გამოცხვა — ფრანგი ფილიპ ტრუსიე, ბოლო მუნდიალზე იაპონელთა თავკაცი და მერვედფინალში გამყვანი კაცი.

თითქოს უცნაური ამბავია, ბრიტანეთი სავსეა კარგი მწვრთნელებით, მაგრამ მეზობნის მეზობნის ძიებაში უცხოეთისკენაც უჭირავთ თვალი. უფრო უცნაური კი ის იქნებოდა, საკუთარი კარგი არ ჰყოლოდათ და უცხოელიც ჯიუტად ეუარათ...

მაკარტის მსგავსად საქართველოს ნაკრებთან გაჯიბრება აიცილა იტალიელმა ჯუზეპე დოსენამ, რომელიც ვოლგოგრადში რუსებთან 1:4 დამარცხების მერე გადადგა ალბანეთის ნაკრების მწვრთნელობიდან. გუშინ კი ტირანაში დიდი გერმანელი მცველი ჰანს-პეტერ ბრიგელი ჩავიდა კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად.

დიეგო მარადონამ ერთხელ თქვა, ჩემს ჩაკეტვას ოდენ ბრიგელი აზერზებდაო, მაგრამ ეჭვი გვაქვს, „ტანკად" წოდებული ბრიგელი ალბანელებს წარსულში დიდი ფეხბურთელობის გამო არ მიუწვევიათ. ბოლოს და ბოლოს, დოსენა სულაც მსოფლიოს ჩემპიონი იყო და ასე უყოყმანოდ არ გაუშვებდნენ.

ისე, ჰანს-პეტერ ბრიგელს 23 წლის წინ თბილისშიც უთამაშია, მაშინ ფედერაციული გერმანიის ნაკრებმა საბჭოელებს, რომელთა კარს ოთარ გაბელია იცავდა, 3:1 მოუგო.

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბრიგელი თბილისში მეორედაც ჩამოვა.



# რონალდომ, ფიგუმ და ზიდანმა ბიოგრაფია გაიმდიდრეს, რონალდომ გარაჟიც
## დარობს რამდი დარი — ცხადია, რეალი!



REUTERS იოკოჰამადან

„ტოიოტამ" ფულიანი პატრონი იშოვა

საკონტინენტთაშორისო თასი ისეთი რამაა, სამხრეთამერიკელები მეტი გულისყურით რომ ეპყრობიან და მისი მოგებით ცდილობენ ევროპაზე ძლიერების დამტკიცებას. აბა, რა ქნან, ვინც კი საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავთ, ყველას ევროპისკენ უჭირავს თვალი. და ამიტომაც არის, რომ თასისთვის ბრძოლაზე უარნათქვამი ევროპული გუნდები ბლომად გვახსოვს, სამხრეთელთაგან კი მსგავსი რამ არავის გაუკეთებია. იაპონიაში წლევანდელი სტუმრობით ლათინებმა ვერაფერი დაამტკიცეს, გუშინ „რეალი" ორით თუ არა, ერთი თავით ნაღდად სჯობდა „ოლიმპიას" და საუკუნოვანი იუბილეს წელს მესამე თასი მოიგო. ისე, წელს „ოლიმპია" საუკუნისა მოიყარა... იოკოჰამას სტადიონი კი, ანუ მატჩის ადგილი, მშობლიურ სარბიელად ექცათ რობერტო კარლოსსა და რონალდოს, რომლებმაც ექვსი თვითა და ერთი დღით ადრე იქ მსოფლიოს თასი ალმართეს. ისინი გუშინდაც საუკეთესონი იყვნენ, რონალდოს კი წესად ექცა „იოკოჰამა სთედიუმზე" გოლის გატანა. მანვე მიიღო მატჩის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული ჯილდო, „ტოიოტას" ვეებერთელა გასალები, რომელსაც, ცხადია, მანქანაც მოჰყვა. რონალდოს, თავისი მილიონებით, უამრავი ასეთი მანქანის ყიდვა შეუძლია, მაგრამ ჯილდო ვის არ გაჰხარებია...

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## ინგლისი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი

ბრისტოლი 3:2 ნოტსი

ლიგის თასი. მეოთხედფინალი

ბარნსლი 0:2 მანჩესტერი
შეფილდ იუნ. 2:0 სანდერლენდი
კრისტალ პალასი 2:0 ოლდემი

## გერმანია

თასის მეოთხედფინალი

მიუნხენი 2:1 ობერჰაუზენი
ჰამბურგი 0:1 ბოხუმი
უნტერჰახინგი 3:2 ჰანზა
ლევერკუზენი 2:1 ვალდჰოფი

## იტალია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები

სამპდორია 1:1 პერუჯა
ანკონა 1:1 მილანი

## ჰოლანდია

თასის II ეტაპი

ვენლო 1:2 აპელდორნი
როზენდალი — ბრედა გადაიდო
ტელსტარი 1:0 ალკმაარი
ჰაარლემი 3:2 მაასტრიხტი
ექსელსიორი 4:2 სპარტა

## თურქეთი

თასის II ეტაპი

ბბ გაზიანთეფში 2:4 ტრაბზონი
ალთაი 1:1 კოჯაელი
ანკარაგიუჯიუ 4:2 ბათმანი
კონია 1:0 ფენერბაჩე

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XVIII ტური

ნიცა 3:0 აიაჩო

## შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

აბერდინი 0:1 კილმარნოკი



REUTERS

ჰამბურგი — ბოხუმი. სტუმართა მეკარემ კრისტიან ვანდერმა მასპინძელთა არგენტინელი ბერნარდო რომეო ბურთს არ გააკარა

## კალათბურთი

### ულების თასი

ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 3 დეკემბერი

**A ჯგუფი**

უდინე 93:64 ფუენლაბრადა
ბონი 84:80 ბრაველინი

**B ჯგუფი**

პივოვარნა 76:68 ოსტენდე
როზეტო 77:57 ვალენსია

**C ჯგუფი**

კრკა 79:76 დარუშაფაკა
კიოლნი 84:80 ტრიესტი
შალონი 72:78 ესტუდიანტესი

**D ჯგუფი**

ზადარი 90:80 ასტრონავტსი
ლეიდა 82:78 ვარეზე
შოლე 94:73 შარლერუა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიე ტრუსიე!
## ირლანდიამ ფრანგი მოიფიქრა



ფილიპ ტრუსიე

### ირლანდია

**ირლანდიის** ფეხბურთის ფედერაცია კვლავ მწვრთნელის ძიებაშია. მას შემდეგ, რაც ირლანდიის ეროვნული გუნდის მესაჭის პოსტი მიკ მაკარტიმ დატოვა, ნაკრებს დროებით დონ გივენსი ავარჯიშებს. გივენსი მაკარტის თანაშემწე გახლდათ.

როგორც ჩანს, ფედერაციის მესვეურთ გივენსის კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებთ და გამოცდილ სპეციალისტს ეძებენ.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ბრიტანელები ფრანგ მწვრთნელ ფილიპ ტრუსიეს დაუკავშირდნენ, პირობებზე მოვილაპარაკოთ და იქნებ ნაკრები გაგვიწვრთნაო.

ტრუსიე კი ფიქრობს და საბოლოო პასუხისგან ჯერ თავს იკავებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრუსიე იაპონიის ეროვნულ გუნდს თავკაცობდა.

„შემოთავაზებები მრავლად მაქვს, მათ შორის ერთ-ერთი ირლანდიიდანაცაა. უმუშევრობა ნამდვილად არ მემუქრება, თუმც არ ვჩქარობ. ჩემი უპირველესი საფიქრალი ახლა ჯანმრთელობაა, — მუხლის ოპერაცია გავიკეთე. საბოლოო პასუხს და არჩევანსაც იანვარში გავამხელ" — აცხადებს ფილიპ ტრუსიე.

ფრანგმა სპეციალისტმა ისიც დასძინა, იაპონიის ნაკრებს კი ვწვრთნიდი, მაგრამ ახლა მეტი სიფრთხილე და ყურადღება მმართებს, არჩევანში რომ არ შევცდეო.

ერთი სიტყვით, ირლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტი კვლავაც თავისუფალია. ვინ გახდება მაკარტის მემკვიდრე, ახალ წლამდე თუ ვერა, ევრო 2004-ის შესარჩევის განახლებამდე მაინც შევიტყობთ.

**გიორგი მუშკუძე**

# 23 წლის შემდეგ...
## ბრიგელს თბილისში ამჯერად ალბანელები ჩამოიყვანენ

### ალბანეთი

**დიდი გერმანელი** მცველი ჰანს-პეტერ ბრიგელი ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს გეხსომებათ. იგი 1979 წელს თბილისსაც სტუმრობდა გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში, როცა გერმანელებმა საბჭოთა ნაკრები 3:1 დაამარცხეს, საბჭოელთა კარს მაშინ ოთარ გაბელია იცავდა.

ჰოდა, არაა გამორიცხული, ჰანს-პეტერ ბრიგელი თბილისს მეორედაც ესტუმროს. საქმე ისაა, რომ ბუნდესლიგის მაჩანჩალა „კაიზერსლაუტერნის" ვიცე-პრეზიდენტს ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია ეპატიჟება, იქნებ ნაკრები გაგვიწვრთნათო. ალბანეთი კი საქართველოს თანამეგუფეა ევროპის 2004 წლის შესარჩევ ტურნირში. ბრიგელს ჯერ არაფერი გადაუწყვეტია, თუმც გერმანელი მოხიბლულია ალბანელთა წინადადებით. ევროპის 1980 წლის ჩემპიონი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში 72 მატჩის ჩამტარებელი ფეხბურთელი უკვე ეწვია ტირანას.

რაზე და როგორ მოილაპარაკეს ჰანს-პეტერ ბრიგელმა და ალბანური ფეხბურთის მამებმა, მალე გაცნობებთ. ახლა ის ვთქვათ, რომ ალბანეთის ეროვნული გუნდი იტალიელმა ჯუზეპე დოსენამ მაშინ დატოვა, როცა ალბანელებმა ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩი ვოლგოგრადში რუსებთან 1:4 წააგეს, ალბანეთში დაბრუნებულს კი იქაურმა ჟურნალისტებმა თავს რისხვა დაატეხეს, აქაოდა, რუსებთან დიდი ანგარიშით როგორ წააგეო. იტალიელმა მწვრთნელმა კრიტიკა ვერ აიტანა და გადადგომა ითხოვა. ალბანური ფეხბურთის მამებსაც ბევრი არ უფიქრიათ და დოსენას განცხადება მაშინვე დააკმაყოფილეს.

**გიორგი მუშკუძე**



REUTERS

ჰანს-პეტერ ბრიგელი

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, I კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



ლევან ცქიტიშვილმა (მარჯვნივ) მეორე ბუნდესლიგაში პირველი გოლი გაიტანა

# ლევან კობიაშვილმა ბადესთან სახელი გაიყო

**მზის სხივებთან** ერთად ევროპაში ქართველ მობურთალთა რაოდენობაც მკვეთრად მცირდება. მართალია, ევროპული ჩემპიონატები ჯერაც გახურებულია, მაგრამ ჩვენებურთა უმეტესობა სათადარიგოთა სკამზე ზის, ზოგი კი მატჩის განაცხადში მოხვედრაზეც ოცნებობს. ახლა ორიოდ სიტყვა მათზე, ვინც ამ უქმეებზე წუთით მაინც შეძლო მოედანზე გამოჩენა.

ტურის ერთადერთი ქართული გოლი ფრაიბურგში გავიდა. ლევან ცქიტიშვილმა მეორე გაუტანა „ბურგჰაუზენს" და თავის გუნდს გაამარჯვებინა. ლევან კობიაშვილი კი, რომელიც მთელი 90 წუთი აქტიურობდა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

საუკეთესოდ აღიარეს ბოლოხანს ქართულ ფეხბურთში „შემოჭრილი" გერმანელი მეკარე ალექსანდერ ბადეც. „კიოლნის" კარის დარაჯმა ორი გოლი კი გაუშვა „ფიურტისგან", მაგრამ რამდენიმე „მკვდარი ბურთიც" გამოაძრო და ჟურნალისტებისგან ორიანიც დაიმსახურა, რაც გერმანიაში საკმაოდ მაღალი შეფასებაა. ახლა „კიოლნი" კვლავ პირველ ადგილზეა, „ფრაიბურგმა" კი მაინც ვერ გადაასწრო „აინტრახტს" და მესამე საფეხურზე ნებივრობს.

პირველად გამოჩნდა ტრავმის შემდეგ ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში დავით მუჯირი. „შტურმმა" ერთობ მნიშვნელოვან მატჩში ვერ შეძლო მოგება, თუმც გრაცელები 1:0 კი დაწინაურდნენ. ქართველი მოედანზე 63-ე წუთზე შევიდა და სამ წუთში სტუმრებმა გათანაბრება შეძლეს. ახლა „პაშინგი" ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს „შტურმს", არადა, მოგების შემთხვევაში ფრანკო ფოდას შეგირდები მეორე ადგილზე ალზევდებოდნენ და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის კარგი შანსი ექნებოდათ.

ოდენ საგოლე პასით გამოირჩა შოტლანდიაში შოთა არველაძე. „რეინჯერსმა" იოლად, 4:0 მოუგო სტუმრად „ჰართსს". ქართველ თავდამსხმელს უხვად საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ ხან მეკარეს ვერ აჯობა, ხანაც არაზუსტად ურტყამდა. „დანდიმ" კი ასევე სტუმრად საჭირო ფრეს გამოჰკრა ხელი „ლივინგსტონთან". თანაც დანდელებმა ბოლო რვა წუთი კაცნაკლულებმა ითამაშეს — გიორგი ნემსაძემ ტრავმის გამო ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება. მწვრთნელს სამივე შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდა, მაგრამ ამ შეცვლებში ზურაბ ხიზანიშვილი ვერ მოხვდა, რომელიც მატჩის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

შვეიცარიულმა „ლუცერნმა" 2:0 მოუგო „აარაუს" და სატურნირო ვითარებაც ოდნავ გამოისწორა. ახლა მიხეილ ყაველაშვილის გუნდი მეცხრეა და შანსი აქვს, საუკეთესო რვეულში მოხვდეს. ჩვენებურმა წყალწაღებული „აარაუს" წინააღმდეგ მოედანზე სრულად დაჰყო.

**ბაჩა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ემპოლი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 10 | 0 | 2 |
| | | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბურგჰაუზენი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 3 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბურგჰაუზენი 2:1 | 90 | | 15 | 4 | 3 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბურგჰაუზენი 2:1 | 90 | 1 გოლი | 14 | 1 | 3 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ბურგჰაუზენი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ბურგჰაუზენი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ფიურტი 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | კიოლნი 2:3 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 9 |
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | პაშინგი 1:1 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 2 | 3 |
| | | | **ინგლისი. I დივიზიონი** | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | ნორვიჩი 0:1 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 16 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰართსი 4:0 | 90 | საგოლე პასი | 14 | 7 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ლივინგსტონი 1:1 | 82 | ტრავმის გამო თამაში ვერ გააგრძელა | 13 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | ლივინგსტონი 1:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 6 |
| | | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | ტილბურგი 2:1 | 0 | | 4 | 0 | 2 |
| | | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | შ | დენდერლეუ 2:0 | ? | | ? | 0 | 17 |
| | | | **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | აარაუ 2:0 | 90 | | 13 | 2 | 9 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | ლუცერნი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| | | | **კვიპროსი. I დივიზიონი** | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აელ 2:1 | 90 | | ? | 2 | 4 |
| გიორგი შენგელია | მორფუ | შ | აპოელი 1:3 | ? | | ? | 2 | 9 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | ანართოსისი 1:2 | 0 | | ? | 1 | 10 |
| | | | **მალტა. პრემიერლიგა** | | | | | |
| გრიგოლ გვაზავა | ფლორიანა | ს | ვალეტა 0:1 | ? | | ? | 3 | 6 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# პირველი ადვილია, ფრაიბურგი იგივე

## ცქიტიშვილს მარჯვენა დაუფარეს

***ქართველთა „ფრაიბურგი" მეორე ბუნდესლიგაში კი ჩაქვეითდა, მაგრამ იქ წარმატებით თამაშობს — მესამე ადგილზეა და თუ ეს პოზიცია ბოლომდე შეინარჩუნა, ბუნდესლიგაშიც დაბრუნდება.***

***ბოლო ტურში „ფრაიბურგმა" შინ „ბურგჰაუზენი" დაამარცხა 2:1 და ერთი გოლი ლევან ცქიტიშვილმა გაიტანა***

— ჩაწოდებულ ბურთს მეტოქის საჯარიმოში დავუხვდი და მარჯვენა მოვუქნიე. მცველმა დაფარა, მაგრამ ბრუნვით დავამატე ცაციათი და შევაგდე — გვითხრა ცქიტიშვილმა, როცა მას გუშინ ფრაიბურგში შევეხმიანეთ.

**— ფოლკერ ფინკე ბოლო დროს რა პოზიციაზე გათამაშებს?**

— ნახევარდაცვის ცენტრში, უფრო წინ ვარ წაწეული, ვიდრე საყრდენი ნახევარმცველი.

**— ცხრილში პირველი სამი ადგილი „კიოლნს", „აინტრახტს" და „ფრაიბურგს" უკავიათ — სხვა გუნდებს პირველ ბუნდესლიგაში გადასასვლელად გაცილებით მოკრძალებული შანსი აქვთ?**

— არა, ასე არ ვიტყოდი. ისეთი დაძაბული მატჩებია, რომ ძნელია თქვა, მხოლოდ ეს სამეული იბრძოლებს ბუნდესლიგისთვისო. უახლეს მდევარს ხუთი ქულით ვუსწრებთ და ამ სხვაობის შემცირება არ უნდა დავუშვათ, თორემ მერე კიდევ უფრო მძაფრი და ძნელი ბრძოლა გაჩაღდება.

**— პირველ და მეორე ბუნდესლიგას შორის ძალიან დიდი სხვაობაა?**

— პირველ ბუნდესლიგაში გუნდები ძირითადად უფრო კლასის ხარჯზე თამაშობენ, მეორეში კი სხვანაირი სურათია — აქ უფრო მეტი ბრძოლაა, უფრო ძალისმიერი თამაში მიდის.

**— და შენთვის სად უფრო ადვილია თამაში — პირველ თუ მეორე ბუნდესლიგაში?**

— ჩემნაირი ფეხბურთელისთვის, რა თქმა უნდა, პირველ ბუნდესლიგაში უფრო ადვილია თამაში.

**— „კირხმედიის" გაკოტრებით ყველა ბუნდესლიგურმა კლუბმა იზარალა, „ფრაიბურგი" კი მეორე ბუნდესლიგაშიც ჩამოქვეითდა. რა სიტუაციაა ახლა „ფრაიბურგში"?**

— „კირხმედიის" გაკოტრება ჩვენ კლუბს დიდად არ დატყობია. გუნდში ნორმალური სიტუაციაა — „ფრაიბურგმა" ხომ პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება დაისახა მიზნად.

**— ფინკეს „ფრაიბურგი" იგივე სტილში თამაშობს, თუ მწვრთნელმა რაღაც-რაღაცეები შეცვალა?**

— არა, „ფრაიბურგი" კვლავაც თავის ტრადიციულ სტილში თამაშობს.

**დავით თავართქილაძე**

# გიორგი ნემსაძეს მუხლზე დაახტნენ

## შოტლანდიაში დასვენებული ვარჯიშს ამერიკაში დაიწყებს

**შოტლანდიური** „დანდის" ქართველმა ნახევარმცველმა გიორგი ნემსაძემ შაბათს „ლივინგსტონთან" სტუმრად მატჩისას მარცხენა მუხლის იოგები დაიზიანა და იანვრამდე ველარ ითამაშებს. ექიმებმა გიორგის კომპიუტერული გამოკვლევა უკვე ჩაუტარეს, ტრავმის ხარისხი დაუდგინეს და იძულებითი დასვენებაც გამოუწერეს. „ლივინგსტონთან" შეხვედრისას, რომელიც ფრედ დამთავრდა, „დანდის" მწვრთნელ ჯიმ დაფის სამი შეცვლა გაკეთებული ჰქონდა, როცა ნემსაძემ ბურთის ჩაჭრა ვარდნაში სცადა, მეტოქემ კი თავი ველარ შეიკავა და წაქცეულ ჩვენიანს მუხლზე დაეცა.

— საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ძალიან შევშინდი. კიდევ კარგი, გულმა მიგრძნო, რაც ხდებოდა. როცა მეტოქე ჩემსკენ წამოვიდა, შეჯახებისთვის მოვემზადე, ფეხი შევაბრუნე და სიმძიმის ძალა ცოტათი მაინც შევამცირე. მოედანი ძლივს დავტოვე, ნაბიჯის გადადგმა ახლაც ძალიან მიჭირს. მარჯვენა მუხლის იოგები რომ დამზიანებოდა, ეს ჩემთვის მძიმე გადასატანი იქნებოდა, წინა სეზონის ნახევარზე მეტი ხომ სწორედ მარჯვენა მუხლის მკურნალობამ წაიღო. ახლა ცოტას დავისვენებ, ექიმები მაიმედებენ, ნაახალწლევს ვარჯიში შეგეძლებაო, იქამდე სარეაბილიტაციო კურსს გავივლი. ახალი წლიდან გუნდს ამერიკაში ერთკვირიან შეკრებაზე გავყვები, შოტლანდიაში დაბრუნებული კი თამაშს განვაახლებ — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, როცა შოტლანდიაში დავუკავშირდით.

„დანდის" მეორე ქართველ ზურაბ ხიზანიშვილს კი, რომელიც მწვრთნელმა ბოლო ხანს რატომღაც აითვალწუნა, შაბათს „ლივინგსტონთან" საერთოდ არ უთამაშია, სათადარიგო იყო და საქმეც იქითკენ მიდის, რომ ეს ფეხბურთელი „დანდის" იანვარშივე დატოვებს, ევროპაში სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე.

**ძობა ინასარიძე**



გიორგი ნემსაძეს ფეხში ისე ჩაარტყეს, იანვრამდე ვერ ითამაშებს

წლეულს რუსულ პრემიერლიგას სათათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუნდი შეუერთდა — ყაზანის „რუბინმა“ პირველ ლიგაში იპირველა და რჩეულთა შორის თამაშის უფლება მოიპოვა. რუსული ფეხბურთის ამ გეოგრაფიულ გაფართოებაში ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ „რუბინში“ სამი ქართველი თამაშობს და სამივემ დიდი წვლილი შეიტანა თათრული გუნდის აღზევებაში. შემტევმა დავით ჩალაძემ უპირველესი მეგოლის სახელი დაიგდო, გიზო ჯელაძემ ნახევარდაცვაში ეფექტური, გააზრებული თამაშით დაამახსოვრა ყაზანელებს თავი, ამ ორს კი ზურგს ლევან სილაგაძე უმაგრებდა, დაცვაზე ორიენტირებულ „რუბინში“ ქართველი მცველი ყველაზე შრომატევად სამუშაოს ასრულებდა და წარმატებითაც, რაკილა თითქმის ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ რუსული პირველი ლიგის მიმომხილველები.

ლევან სილაგაძე რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა მშობლიურ რუსთავში შვებულების გასატარებლად. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი გუშინ „სარბიელს“ ესაუბრა



# ბერდიევის ფილოსოფია

## არ იბატონო რუსულად, იმეგობრე ქართველებთან

## ლევან სილაგაძე: ყაზანში ფეხბურთი უყვართ და ჰოკეიზე დადიან

**— ლევან, ყაზანში წასვლამდე ქუთაისის „ტორპედოში“ არცთუ კარგად მიდიოდა შენი საქმე, იშვიათად თამაშობდი, ბევრმა ეს შენსა და „ტორპედოს“ მაშინდელ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს შორის მომხდარი კონფლიქტით ახსნა...**

— ჩემსა და ძოძუაშვილს შორის არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა, უბრალოდ, უფრო მაღალ დონეზე მსურდა თამაში და გადავწყვიტე, „ტორპედო“ დამეტოვებინა.

**— მიუხედავად ამისა, „რუბინში“ გადასვლა ბევრმა უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაგითვალა...**

— ერთი შეხედვით ასეც ჩანდა, თუმც ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი და, როგორც გამოჩნდა, გამიმართლა — უკვე რუსეთის პრემიერლიგაში ვითამაშებ. სანამ ყაზანში წავიდოდი, სარატოვის „სოკოლს“ სურდა ჩემი გადაბირება. რუსეთის პრემიერლიგაში თამაშის შანსი მქონდა და თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ შემდეგ „რუბინი“ დამიკავშირდა, გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზეს ყაზანელებმა. გუნდის მიზანიც გავითვალისწინე. „რუბინს“ პრემიერლიგაში თამაში სურდა, გადავხედე გუნდის შემადგენლობას და მივხვდი, რომ მიზანი რეალური იყო, არცთუ უმნიშვნელო როლი გიზო ჯელაძემ და დავით ჩალაძემაც ითამაშეს. ბოლოს და ბოლოს, „მშობლიურ“ გარემოში მომიწევდა თამაში და დავთანხმდი ყაზანელთა წინადადებას.

**— შეგუება არ გაგიჭირდა? ახალი გუნდი, უცხო ქალაქი...**

— თავიდან ვფიქრობდი ამაზე. რაც უნდა იყოს, ცუდად ჟღერს — სათათრეთის რესპუბლიკაში უნდა მეცხოვრა, მაგრამ ყაზანში ჩასულს ყველაფერი სხვაგვარად დამხვდა. სათათრეთი ერთ-ერთი მდიდარი რესპუბლიკაა. იქ სამუშაო ადგილის პრობლემა არა აქვთ, ყველა დასაქმებულია, გასამრჯელოც — ნორმალური. თავად მილიონნახევრიანი ყაზანი ძველისძველი, ისტორიული ქალაქია. ისტორიულ ძეგლებს იქ დიდ პატივს სცემენ, თითოეული შენობა საგულდაგულოდ არის რესტავრირებული, პარალელურად ახალი სახლების მშენებლობაც მიდის. დღითი დღე იზრდება ქალაქი, თანაც ყველაფერს გემოვნებით აკეთებენ. ასე რომ, სათათრეთს ცივილიზაციის ნაკლებობა სულაც არ ემჩნევა.

**— კლუბიც წელგამართული იქნება...**

— ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. „რუბინს“ უშუალოდ ქალაქის მერი პატრონობს. ფეხბურთზე შეყვარებული კაცია და გუნდს არაფერს აკლებს. ხელფას-პრემიების დაგვიანება გამორიცხულია. საწვრთნელადაც კარგი პირობები გვაქვს, არც უცხოური შეკრებები გვაკლია. მოკლედ, გუნდი ფინანსურად ისეთ დონეზეა, რუსეთის პრემიერლიგაში ფეხის მოკიდება არ უნდა გაუჭირდეს.

**— რუსები „რუბინის“ წარმატების უპირველეს ფაქტორად გუნდის მწვრთნელს, ყურბან ბერდიევს მიიჩნევენ...**

— ამ კაცზე დაუსრულებლად შემიძლია ლაპარაკი. მართლაც გამორჩეული პიროვნებაა. ქართველების მიმართ ადრეც დიდი სიმპათიები ჰქონდა. შვილებივით გვიყურებს, ყურადღებას არ გვაკლებს. ბერდიევი არ არის რუსულ ჩემპიონატში გაბატონებული „დაარტყი, გაიქეცის“ სტილის მწვრთნელი. დახვეწილი საფეხბურთო გემოვნება აქვს. უფრო შემოქმედებით ფეხბურთზე აკეთებს აქცენტს. ფეხბურთელებთან მეგობრობს. ფეხი გტკივა — დაისვენე, ვარჯიშის ხასიათზე არ ხარ — დაისვენე — ასეთი დამოკიდებულება აქვს ყველას მიმართ, თუმც ეს ყოველივე გუნდის თამაშზე უარყოფითად ნამდვილად არ მოქმედებს.

**— ბერდიევი მომავალ წელსაც გუნდში რჩება?**

— რა თქმა უნდა. მისით ყველა კმაყოფილია და არა მგონია, პრემიერლიგაშიც შეირცხვინოს თავი.

**— თქვენს წარმატებაში ალბათ გულშემატკივრებმაც დიდი წვლილი შეიტანეს...**

— ამას ვერ ვიტყვი. გაგიკვირდებათ, მაგრამ „რუბინის“ კოხტა სტადიონი სანახევროდ ცარიელი იყო. გულშემატკივარი ჰოკეიმ წაგვართვა. ყაზანში სპორტის ეს სახეობა უფრო პოპულარულია. ჰოკეის კარგი გუნდი ჰყავთ — „აკბარსი“, ხალხიც ძირითადად მის თამაშებზე დადის. ასე რომ, ქომაგის ენერგიულ მხარდაჭერას მოკლებულნი ვიყავით. იმედი მაქვს, პრემიერლიგაში აღზევებული გუნდისადმი ხალხის დამოკიდებულება შეიცვლება.

**— შენი გეგმები როგორია „რუბინთან“ დაკავშირებით?**

— ერთი წელი დამრჩა სათამაშო, მაგრამ ყაზანელებს ჩემთან ხელშეკრულების გაგრძელება სურთ, წინააღმდეგი არც მე ვარ, სიამოვნებით ვითამაშებ „რუბინში“, ყაზანში ნაახალწლევს ჩავალ და კონტრაქტსაც გავაგრძელებ. გუნდში რჩებიან ჩალაძე და ჯელაძეც. ვიცი, ისინიც აპირებენ კონტრაქტის გაგრძელებას.

**— თქვენ გარდა „რუბინს“ კიდევ ჰყავს ლეგიონერი?**

— იუგოსლაველი მარალად მირდაკი და მაროკოელი აბდულ კარიმ კისი, ორივე ქართველი თანაგუნდელების დიდი მეგობარია. სხვათა შორის, ახალგაზრდა კარიმ კისი თავისი ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს. ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელია.

**— რუსეთის პრემიერლიგა სხვა დონეა, ალბათ, გუნდი გაძლიერებაზეც ფიქრობს.**

— რა თქმა უნდა, ამ მიზნით თავად ყურბან ბერდიევი ბრაზილიაში გაემგზავრა. რამდენადაც ვიცი, იქ რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდება. ყაზანელებს შიდასატრანსფერო ბაზარზეც მიჰყავთ მოლაპარაკებები და ახალ სეზონს უეჭველად გაძლიერებული შემადგენლობით შევხვდებით.

**— „რუბინში“ ბევრი თამაში გამოტოვე ტრავმის გამო, ახლა როგორ გრძნობ თავს?**

— ტრავმებით გამოწვეული უსიამოვნო განცდა უკან დარჩა. მართლაც დატანჯული ვიყავი. თავიდან კარგად დავიწყე, 6 მატჩი ვითამაშე, მერე კი საზარდულმა შემაწუხა. ჯამში 17 მატჩი გამომივიდა ნათამაშევი. ისე, ჩალაძესა და ჯელაძესაც არ გაუმართლათ ამ მხრივ. დათოს ლიგის ერთპიროვნული ბომბარდირობა არ გაუჭირდებოდა, ტრავმას რომ არ მოეცდინა. მოკლედ, ძირითადად ცალ-ცალკე გვიწევდა ქართველებს თამაში, ერთად ალბათ 7-8 მატჩი თუ გვექნება ჩატარებული.

**— ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი რომელი იყო გასულ სეზონში „რუბინისთვის“?**

— უშუალო კონკურენტ „ტომთან“ საშინაო დაპირისპირება. სამი ქულით ვუსწრებდით მეტოქეს და 1:0 მოვუგეთ, მაშინ უკვე აღარ შეგვპარვია ეჭვი, რომ პრემიერლიგის საგზურს მოვიპოვებდით. სხვათა შორის, ყაზანში დიდი ინტერესი გამოიწვია „ალანიას“ ჩამოსვლამაც. სათასო მერვედფინალის იმ მატჩს ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ჩემთვის სასიამოვნო იყო დემეტრაძის და აშვეთიას ნახვა, თანაც მწვრთნელის დავალებით პერსონალურად ვეთამაშე „დემეს“. მგონი, შევასრულე კიდეც დავალება, რაკილა 1:0 მოვიგეთ და მეოთხედფინალში გავედით. მეტის მიღწევაც შეგვეძლო, მაგრამ „სატურნს“ ვერაფერი მოვუხერხეთ, არა და არ გავიდა გოლი მეტოქის კარში და 0:1 დავმარცხდით.

**— რუსეთის პირველ ლიგაში მოთამაშე ქართველებთან თუ გქონდა ურთიერთობა?**

— ძველ მეგობრებთან ურთიერთობისთვის რუსეთის ჩემპიონატი ნამდვილად არ გამოდგება. წარმოიდგინეთ, ან მოედანზე ვიყავით, ან გზაში. ათასობით კილომეტრის ფრენა გვიწევდა რუსეთის ერთი კიდიდან მეორეში. ბურთი და თვითმფრინავი — ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ასე რომ, პირველი ლიგის სხვა გუნდებში მოთამაშე ქართველებთან ჩემი ურთიერთობა მხოლოდ ჩვენი გუნდების ურთიერთშეხვედრებისას იყო შესაძლებელი. ძალიან კარგ ფორმაშია პაატა ჯინჭარაძე, მის წინააღმდეგაც პერსონალურად მომიწია თამაში. მას საგრძნობლად აუმაღლებია სათამაშო კლასი. რუსები ქებას არ იშურებენ „კრისტალში“ მოთამაშე ქართველებისადმი. სიჭინავა, გადელია და ზვიად ჯელაძე საუკეთესონი არიან ამ გუნდში და სმოლენსკელები ძნელად თუ შეელევიან მათ.

**— რუსეთის პრემიერლიგას და პირველ ლიგას შორის დიდი სხვაობაა, არ გაგიჭირდებათ რჩეულთა შორის დამკვიდრება?**

— სხვაობა არც იმდენად დიდია. ამ სხვაობის მიზეზიც ძირითადად სათამაშო მოედნებია. ურალს იქით ნორმალურ სტადიონს ვერ ნახავთ, ასეთ გაზონზე კი წინსვლის შანსი ნაკლებია. სხვა მხრივ, პირველ ლიგაშიც ფეხბურთელი ბოლომდე იხარჯება, მაქსიმუმს დებს თამაშში და გუნდების უმრავლესობასაც არ დაეწუნება სათამაშო ორგანიზაცია. ასე რომ, არა მგონია, განსაკუთრებულ სირთულეს წავაწყდეთ პრემიერლიგაში, მით უფრო, რომ „რუბინის“ ფეხბურთელთა უმრავლესობას ამ დონეზე თამაშის გარკვეული გამოცდილება გვაქვს და თანაც სოლიდური ფინანსური მხარდაჭერა გვიმაგრებს ზურგს.

**ბაატა ქვანტალიანი**



იყო დრო, ლევან სილაგაძე (№2) საქართველოს ნაკრებშიც თამაშობდა

# როსტოვის კარიდან ქართველი გაუშვეს

## ვის გაახსენდება რუსეთში დაკარგული დავით ხმელიძე?

**რუსულმა** „როსტსელმაშმა“ ქართველი მეკარე დავით ხმელიძე სეზონის დამთავრებისთანავე ტრანსფერზე დააყენა, კლუბმა ჩვენებურის სამსახურზე უარი თქვა და გასაყიდად გაიმეტა, თუმც მეკარის სანაცვლოდ გადასახდელი თანხის რაოდენობა არ გაუხმაურებია.

ხმელიძე, რომელიც სოჭშია დაბადებული და საქართველოს ეროვნულ გუნდში ერთხელ უკვე გამოძახებული იყო, ხოლო იტალიასთან თბილისური შეხვედრისას ახალგაზრდული ნაკრების კარსაც იცავდა, რამდენიმე თვის წინ „როსტსელმაშს“ ესპანეთში ჰყავდა განათხოვრებული, იქიდან დაბრუნებული კი სათადარიგოთა სკამს არ მოშორებია. საკმაოდ პერსპექტიულ, ნიჭიერ ქართველ მეკარეს როსტოვულ კლუბში თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონდა და როგორც შევიტყვეთ, მისი სურვილიც ყოფილა ამ გუნდის დატოვება.

დავით ხმელიძის მსურველებზე ჯერ არაფერი ისმის, თუმც 23 წლის მეკარეს სხვაგან გადაბარგება არ უნდა გაუჭირდეს, მათ შორის უცხოეთშიც. მაშინ, როცა ხმელიძე სოჭის „ჟემჩუჟინას“ წევრი იყო და ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს, მას რუსეთის სხვადასხვა კლუბებიდან ეპატიჟებოდნენ, მაგრამ, რატომღაც „როსტსელმაში“ ირჩია. დავითმა წინა სეზონში ერთი-ორჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში. წლეულს კი ესპანეთმოვლილი დუბლებში თუ გამოჩნდებოდა. სხვათა შორის, დავით ხმელიძეს, როცა მისი ქართველობა საქართველოში გაიგეს, აქაური კლუბებიც შეეხმიანნენ და სათამაშოდ მიიწვიეს. მაშინ მეკარის საქართველოში ჩამოყვანაზე ლაპარაკი, რატომღაც მალევე შეწყდა, ახლა კი ეს ბიჭი უგუნდოდ დარჩა და იქნებ ქართული კლუბებიდან დაუკავშირდნენ კიდეც. არ გვგონია რუსებმა ხმელიძეში ისეთი თანხა მოითხოვონ, რისი გადახდაც ეროვნული ჩემპიონატის ზედქსელულში მოხვედრილთათვის წარმოუდგენელი იყოს. აგერ, ბატონებო, თავისუფალი მეკარე.

**ქობა ინასარიძე**



დავით ხმელიძე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაუგრძნობს მამუკა კვანტალიანს მამის რაულ კვანტალიანის გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ სამძიმარს უცხადებს „სარბიელის“ ჟურნალისტს მამუკა კვანტალიანს მამის რაულ კვანტალიანის გარდაცვალების გამო




ლონდონელმა ქომაგებმა „ვესტ ჰემის" თავმჯდომარეს წასვლა მოსთხოვეს

# ბიტის მეცხრე და ვესტ ჰემის მეათე

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XVI ტური**

**ვესტ ჰემი 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (90)

**ვესტ ჰემი:** ჯეიმსი, უინტერბერნი, რეპკა, დეილი, ა. პირსი, შემლი, კარიკი, ტ. სინკლერი, ჯ. კოული, დი კანიო (მონკუ 77), დეფო

მწვრთნელი: გლენ როიდერი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, მაიკლ სვენსონი, ოკლი (ორმეროდი 66), მარსდენი, დელაპი, ფ. ფერნანდესი (დ. უილიამსი 90), დელგადო (ა. სვენსონი 46), ბიტი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: რეპკა, ბიტი

მსაჯი: რაილი

28 844 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 16 | 11 | 2 | 3 | 36:17 | 35 |
| ლივერპული | 16 | 9 | 4 | 3 | 27:15 | 31 |
| ჩელსი | 16 | 8 | 6 | 2 | 28:13 | 30 |
| მანჩესტერი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:17 | 29 |
| ევერტონი | 16 | 9 | 2 | 5 | 19:17 | 29 |
| ნიუკასლი | 15 | 8 | 1 | 6 | 25:23 | 25 |
| მიდლსბრო | 16 | 7 | 3 | 6 | 19:13 | 24 |
| ტოტენჰემი | 16 | 7 | 3 | 6 | 20:22 | 24 |
| ბლეკბერნი | 16 | 6 | 5 | 5 | 22:19 | 23 |
| საუთჰემპტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 18:17 | 23 |
| ბირმინგემი | 16 | 5 | 5 | 6 | 16:19 | 20 |
| ჩარლტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 16:20 | 20 |
| სიტი | 16 | 6 | 2 | 8 | 17:23 | 20 |
| ფულემი | 16 | 5 | 4 | 7 | 21:22 | 19 |
| ასტონ ვილა | 16 | 5 | 4 | 7 | 15:16 | 19 |
| ლიდსი | 16 | 5 | 2 | 9 | 20:24 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 4 | 3 | 9 | 11:22 | 15 |
| სანდერლენდი | 16 | 3 | 5 | 8 | 8:20 | 14 |
| ბოლტონი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:27 | 13 |
| ვესტ ჰემი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:29 | 12 |

**„ვესტ ჰემ იუნაიტედმა"** კვლავ წააგო. ამჯერად, ამ სეზონში მშვენივრად მოთამაშე „საუთჰემპტონთან". ახლა „ვესტ ჰემი" კვლავ ბოლო ადგილზეა და კვლავ არ მოუგია საშინაო თამაში, თუმცა მენეჯერი გლენ როიდერი ამბობს, რომ სეზონში ათი მარცხის მიუხედავად, არ დაუკარგავს მოთამაშეთა ნდობა.

ჯეიმს ბიტიმ მაშინ გაუტანა თავური მასპინძლებს, როცა მსაჯის მიერ თამაშზე წამატებული წუთები იწურებოდა. ეს ცივი წყლის გადასხმა გამოდგა გუნდისთვის, რომელსაც ამ მატჩის მოგებაც კი შეეძლო, ჯერმინ დეფოსა და იან ჰარტს რომ მიზანი არ წაზდენოდათ. ბიტიმ წერას მიჰყო ხელი, ეს ბიჭი აშკარად გამოსწორდა.

პაოლო დი კანიომ ამ ჯერზე ვერაფერი გააწყო. „ვესტ ჰემის" ფანობამ კი თამაშის შემდეგ კლუბის თავმჯდომარეს, ტერენს ბრაუნს ულრიალა.

ისე კი, რა მოელის მშვენიერი ფეხბურთელებით სავსე, უიღბლო და არეულ გუნდს, ძნელი სათქმელია.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჯეიმს ბიტიმ მსაჯის საფინალო ჩასტვენას წამებით დაასწრო

# პირლომ ტრაპატონის აკადრა შეეკითხეთ ანჩელოტის

*ჯერ კიდევ იტალიის ჭაბუკთა ნაკრებში იყო, როცა მასზე ამბობდნენ, ძალიან ნიჭიერიაო. მერე და მერე თავისი შესაძლებლობები ოლიმპიურ ნაკრებშიც ნათლად წარმოაჩინა. პატარა „სკუადრა აძურას" გამთამაშებელი გუნდის ლიდერიც გახლდათ და იმაშიც დიდი წვლილი მიუძღვის, ორი წლის წინ იტალიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ოქრო რომ მოიგო. მაგრამ იყო იმედგაცრუებაც. ახლა უკვე 23 წლის ფეხბურთელი სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდიდა, კლუბის ძირითადში ადგილს ვერ იმკვიდრებდა. ანდრეა პირლოზე მოგახსენებთ, „ინტერის" აღზრდილ და მისი მოსისხლე მტრის, „მილანის" ოცდამეერთე ნომერზე, ყოფილ პლეიმეიკერზე და ახლა უკვე საუცხოო საყრდენ ნახევარმცველზე.*




**როცა** მწვრთნელები ანდრეა პირლოს გამთამაშებლის ფუნქციის აკისრებდნენ, „სკუადრა აძურას" ოდინდელი ვარსკვლავი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კლაუდიო ჯენტილე ამბობდა, პირლოს სახით იტალიას ახალი ჯანი რივერა ეზრდებაო.

საყრდენობას კი ანდრეა პირლო კარლო ანჩელოტიმ მიაჩვია. „მილანის" მწვრთნელს შეეშინდა, გუნდში შეტევი სტილის უამრავი ფეხბურთელი მყავს და ემანდ, ანდრეა არ ჩაიკარგოს, სათადარიგოდ არ იქცესო.

მიაჩვია და არც წაუგია. წლევანდლამდე პირლოს თუ თავდამსხმელთა უკან ამწესებდნენ, ახლა მცველების წინ ტრიალებს ციბრუტივით, „მილანის" შეტევების წამოწყებაც, ცხადია, მას ევალება. კარლო ანჩელოტიმ მასზე თქვა: „ორივე ფეხს კარგად ხმარობს, აქვს მოედნის ჩინებული ხედვა და გონივრული პასების კეთების უნარი."

ანდრეა პირლო დღევანდელი „მილანის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, საყრდენ ნახევარმცველობას ჯერჯერობით ერთ ფუნქციასაც წარმატებით უთავსებს — „როსონერის" შტატიანი პენალტისტია.

წლევანდელ სერიაში კი ფილიპო ინძაგის შემდეგ „მილანის" მთავარი მეგოლეა, ექვსი ბურთი აქვს გატანილი და აქედან 5 პენალტით.

პირლოს ამას წინაც უეფადან, კერძოდ „უეფა მეგეზინიდან" შეეხმიანნენ და „მილანის" წარმატებული თამაშის შესახებ დაეკითხნენ. 23 წლის ფეხბურთელსაც თავპატიჟი არ დაუწყია:

— ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჩინებულად ვითამაშეთ. უკვე ოთხი ტურის შემდეგ გავედით მეორე ეტაპზე. მართალია, იქამდე, კვალიფიკაციაში ჩეხური „ლიბერეცის" ძლევა ერთობ გაგვიჭირდა, მაგრამ მერე ბრწყინვალედ ავთამაშდით და უფრო განვამტკიცეთ ჩვენი ამბიციები.

— იტალიური გუნდები ძირითადად ტრადიციული სტილის ფეხბურთს თამაშობენ, ანუ დაცვით ფეხბურთს, იგივე კატენაჩოს. „მილანმა" ეს ტრადიცია დაივიწყა, ტაქტიკა შეცვალა და შედეგად, ჩემპიონთა ლიგაშიც ბლომად გოლები გაგვაქვს და სერია A-შიც. ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, კარლო ანჩელოტის დამსახურებაა.

— „რეალი", „დორტმუნდი", „ლოკომოტივი"– გავისეირნებთ-მეთქი, რომ ვერ ვიტყვი, ფაქტია. თუმცა პირველ ჯგუფურ ეტაპზეც ძლიერი მეტოქეები გვყავდა, მაგრამ უპრობლემოდ დავძლიეთ. ბედნიერი ვიქნები, ახლაც ასევე თივე შედეგს თუ მივაღწევთ. ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. არა აქვს მნიშვნელობა, შინ ვითამაშებთ თუ სტუმრად. „მილანს" ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს.

— იტალიის ნაკრები ჯგუფიდან აუცილებლად გავა, ჯერ არაფერია დაკარგული. ჯოვანი ტრაპატონის ერთ რჩევას მივცემ, თუ „სკუადრა აძურას" „მილანის" დარად ათამაშებს, შედეგს აუცილებლად მოიმკის. კარლო ანჩელოტი ყოველთვის 4-3-1-2 ტაქტიკით გვათამაშებს. მართალია, ამ სისტემას იტალიური და უცხოური კლუბების უმეტესობა ხშირად იყენებს, მაგრამ მგონი, ჩვენ უკეთესად ავუღეთ ალღო.

— „ინტერიდან" „მილანში" რომ გადმოვდიოდი, ცხადია, ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვებაზე ვფიქრობდი. ბევრი ჩემს ნაბიჯს ეჭვის თვალით უყურებდა და ხშირადაც მეუბნებოდნენ, მანდ სულ დაიკარგები, თავს დაილუპავ და აჯობებდა რანგით დაბალ კლუბში გადასულიყავიო. არ შევშინდი, ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავდი, ბოლომდე ვიხარჯებოდი და ჩემს შანსს ველოდი. შარშან „მილანის" მაისურით რამდენჯერმე ვითამაშე, გამთამაშებლად მწვრთნელი რუი კოშტას ამჯობინებდა და სამართლიანადაც, რუი მართლაც რომ ჩინებული ფეხბურთელია. ჩემთვის ახალი და უცხო ფუნქცია ანჩელოტიმ სეზონისწინა ვარჯიშზე, ორმხრივი თამაშისას დამაკისრა. თავიდან ოდნავ გამიჭირდა, თუმც ალღო იოლად ავუღე. მწვრთნელმა შემაქო და როგორც ხედავთ, გამთამაშებელი პირლო, საყრდენმა პირლომ შეცვალა. გამოგიტყდებით, ჩემი ახალი პოზიცია მომწონს და კარლო ანჩელოტის უდიდესი მადლობელი ვარ.

**გიორგი მაზაძე**

## პორტუგალია

**I ლიგა. XII ტური**

**პორტუ 4:1 აკადემიკა**

0:1 მონტეირუ (3), 1:1 რიბეირუ (49პ), 2:1 დეკო სოუზა (75), 3:1 პოსტიგა (77), 4:1 იანკაუსკასი (90პ)

**გიმარაეში 3:1 ბოავიშტა**

1:0 მენდეში (24), 1:1 ელპიდიუ სილვა (33პ), 2:1 დიურდიევიჩი (74), 3:1 ფანგეირუ (81პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 12 | 9 | 3 | 0 | 25:10 | 30 |
| სპორტინგი | 12 | 8 | 1 | 3 | 21:15 | 25 |
| ბენფიკა | 12 | 7 | 2 | 3 | 27:11 | 23 |
| გიმარაეში | 12 | 7 | 1 | 4 | 26:19 | 22 |
| ჟილ ვისენტე | 12 | 6 | 2 | 4 | 18:15 | 20 |
| ბელენენსეში | 12 | 6 | 2 | 4 | 15:14 | 20 |
| ვარზიმი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:16 | 19 |
| ნასიონალი | 12 | 5 | 2 | 5 | 18:17 | 17 |
| მარიტიმუ | 11 | 5 | 1 | 5 | 12:17 | 16 |
| ფერეირა | 12 | 5 | 1 | 6 | 14:20 | 16 |
| სეტუბალი | 12 | 2 | 8 | 2 | 14:10 | 14 |
| ლეირია | 12 | 4 | 2 | 6 | 15:17 | 14 |
| ბრაგა | 12 | 4 | 2 | 6 | 12:21 | 14 |
| ბეირა მარი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:15 | 13 |
| ბოავიშტა | 12 | 3 | 3 | 6 | 8:13 | 12 |
| მორეირენსე | 12 | 2 | 2 | 8 | 11:18 | 8 |
| სანტა კლარა | 11 | 2 | 2 | 7 | 13:21 | 8 |
| აკადემიკა | 12 | 1 | 5 | 6 | 13:22 | 8 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XV ტური**

**ზანკტ პაული 1:2 კარლსრუე**

0:1 საენკო (20), 1:1 ა. მაიერი (21), 1:2 ჩითინი (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 15 | 8 | 7 | 0 | 31:16 | 31 |
| აინტრახტი | 15 | 9 | 3 | 3 | 26:12 | 30 |
| ფრაიბურგი | 15 | 9 | 2 | 4 | 22:13 | 29 |
| ტრირი | 15 | 7 | 3 | 5 | 25:18 | 24 |
| მაინცი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:14 | 24 |
| დუისბურგი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:19 | 24 |
| ალემანია | 15 | 6 | 5 | 4 | 24:20 | 23 |
| ობერჰაუზენი | 15 | 6 | 5 | 4 | 17:16 | 23 |
| ფიურტი | 15 | 5 | 7 | 3 | 21:16 | 22 |
| ლიუბეკი | 15 | 7 | 1 | 7 | 27:23 | 22 |
| ბურგჰაუზენი | 15 | 5 | 6 | 4 | 24:17 | 21 |
| როიტლინგენი | 15 | 6 | 3 | 6 | 24:25 | 21 |
| უნიონი | 15 | 4 | 6 | 5 | 18:29 | 18 |
| კარლსრუე | 15 | 3 | 6 | 6 | 15:23 | 15 |
| ალენი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:23 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 15 | 2 | 4 | 9 | 16:32 | 10 |
| ზტ. პაული | 15 | 2 | 3 | 10 | 21:36 | 9 |
| ვალდჰოფი | 15 | 2 | 2 | 11 | 14:34 | 8 |

## იტალია

**სერია B. XIV ტური**

**ლივორნო 1:1 სიენა**

0:1 ტირიბოკი (69), 1:1 პროტი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 13 | 6 | 6 | 1 | 16:9 | 24 |
| ტრიესტინა | 13 | 6 | 4 | 3 | 19:12 | 22 |
| სიენა | 13 | 5 | 7 | 1 | 13:9 | 22 |
| კალიარი | 12 | 6 | 4 | 2 | 13:10 | 22 |
| ლეჩე | 13 | 4 | 8 | 1 | 15:11 | 20 |
| პალერმო | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| ანკონა | 13 | 4 | 7 | 2 | 16:12 | 19 |
| ლივორნო | 13 | 6 | 1 | 6 | 14:11 | 19 |
| ტერნანა | 13 | 5 | 4 | 4 | 13:11 | 19 |
| ასკოლი | 13 | 4 | 5 | 4 | 9:10 | 17 |
| ბარი | 13 | 2 | 9 | 2 | 11:9 | 15 |
| ვერონა | 13 | 3 | 6 | 4 | 16:15 | 15 |
| მესინა | 12 | 4 | 3 | 5 | 16:16 | 15 |
| ვიჩენცა | 13 | 3 | 6 | 4 | 16:20 | 15 |
| ვენეცია | 13 | 4 | 3 | 6 | 12:16 | 15 |
| ჯენოა | 13 | 3 | 5 | 5 | 14:14 | 14 |
| კოზენცა | 13 | 4 | 2 | 7 | 11:14 | 14 |
| ნაპოლი | 13 | 2 | 6 | 5 | 15:19 | 12 |
| კატანია | 13 | 3 | 3 | 7 | 15:24 | 12 |
| სალერნიტანა | 13 | 3 | 1 | 9 | 11:21 | 10 |

# ნიუკასლი ასაჩივრებს და არც ასაჩივრებს

**ალან შირერი** 10 დეკემბერს ბარსელონაში და მომავალი წლის თებერვალში ლევერკუზენში, თავის „ნიუკასლს" ვერ დაეხმარება. „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ინტერელ ფაბიო კანავაროსთან მისი უხეში თამაში ფრანგ მსაჯ სტეფან ბრეს არ შეუნიშნავს, აი, ვიდეოჩანაწერზე კი ყველაფერი ცხადად გამოჩნდა და უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ევროტურნირიდან ორი მატჩით მოკვეთა. ამაზე ადრეც ვწერდით, ახლა კი ნიუკასლელთა თავმჯდომარე ფრედი შეპარდმა განაცხადა: „მას შემდეგ, რაც ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და თავად ფეხბურთელთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტეთ, ეს სასჯელი არ გავასაჩივროთ".

სამაგიეროდ, „ნიუკასლი" ასაჩივრებს კრეიგ ბელამის დისკვალიფიკაციის საქმეს. გეხსომებათ, იმავე „ინტერთან" მატჩისას უელსელი ფორვარდი მატერაციისთან უხეშობის გამო გააძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიაყოლეს. 17 დეკემბერს უეფა თავის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ბელამის საკითხს კვლავ მიუბრუნდება და შესაძლოა, ნიუკასლელს სასჯელი შეუმსუბუქოს. უახლოეს მატჩს კი ნაღდად არაფერი ეშველება. „კამპ ნოუზე" ნიუკასლელებს „ბარსელონასთან" გამკლავება შირერისა და ბელამის გარეშე მოუწევთ.

**სერგი ტორიძე**

# საქმე და სიტყვა

## ბუნდესლიგა, პრემიერლიგა, სერია A, პრიმერადივიზიონი უქმეების მერე



კოტბუსში წყალში გაცურეს

### გერმანია

— მიუნხენის „ბაიერნმა“ „პერტას“ დამარცხებით ორი ტურით ადრე პირველი წრის ჩემპიონობა დაიბევა, ხოლო ბერლინელები 1977 წლის შემდეგ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ ბავარიელებს ვერ ამარცხებენ.

— ბილეფელდის „არმინიამ“ ამ სეზონში პირველად იმარჯვა სტუმრად. შეხვედრის მთავარი გმირები მეკარეები იყვნენ. „ბოხუმელთა“ კარის დარაჯმა ვანდერმა 54-ე წუთზე გოლი საკუთარ კარში გაიტანა, ხოლო ბილეფელდელმა ჰაინმა 69-ე წუთზე ჯერ თერთმეტმეტრიანი მოიგერია, ხოლო შემდეგ ექვსი მეტრიდან დამატებული დარტყმაც უკუაგდო.

— „კოტბუსისა“ და „მიუნხენ 1860“-ის შეხვედრა კოკისპირული წვიმის თანხლებით გაიმართა. მინდორი სულ მთლად დატბორილი იყო და ბურთის გორება ძალიან ჭირდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, მაყურებელმა შვიდი გოლი იხილა. 79-ე წუთამდე სტუმრები 0:4 იგებდნენ, თუმც სასოწარკვეთილმა მასპინძლებმა შვიდი წუთის განმავლობაში სამჯერ გაიხარეს და ბუნდესლიგისთვის ჯერ არნახულ სასწაულამდე სულ ცოტა დააკლდათ.



დაუჯერებელი ამბავი: ტიერი ანრიმ პენალტი გაიტანა

— როსტოკის „ჰანზამ“ საკუთარ „სოტბეშტადიონზე“ ბოლო 9 ტურში პირველ გამარჯვებას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში როსტოკელების შემადგენლობაში შვიდი შვედი თამაშობდა. აქამდე ბუნდესლიგაში, ერთი გუნდის შემადგენლობაში ერთი ქვეყნის ამდენ ფეხბურთელს არ უთამაშიათ.

— ლევერკუზენის „ბაიერი“ შინ უკვე მეოთხედ დამარცხდა, სტუმრად კი მხოლოდ ორჯერ. წინა სეზონში ლევერკუზენელებმა საწყისი თხუთმეტი ტური დაუმარცხებლად განვლეს. მოიპოვეს 36 ქულა (წლეულს 17) და გაიტანეს 37 გოლი (წლეულს 21).

— შტეფან ეფენბერგის არყოფნაში, რომელსაც ხუთი ყვითელი ბარათი დაუგროვდა „ვოლფსბურგმა“ გასვლაზე ზედიზედ მეოთხედ წააგო, ხოლო „კაიზერსლაუტერნმა“ სეზონში მეორე გამარჯვებას მიაღწია. ეტყობა, კლუბზე იმან იმოქმედა რომ ხელმძღვანელები ფეხბურთელებს დაემუქრნენ, თუ ზედიზედ ორ მატჩს არ მოიგებდნენ, ხელფასს გაუნახევრებდნენ. მომდევნო ერთი არის, მომდევნო მატჩი ლაუტერნელებს „დორტმუნდთან“ ელით.

### ინგლისი

— „არსენალი“ ზედიზედ 55 მატჩში ახერხებს სულ მცირე ერთი გოლის გატანას მაინც. ბოლო უგოლო შეხვედრა მეთოფეებმა 2001 წლის 15 მაისს ჩაატარეს „ნიუკასლთან“ (0:0).

— ჩელსელ უილიამ გალასს პრემიერლიგაში სულ ოთხი გოლი აქვს გატანილი, აქედან სამი „სანდერლენდისთვის“ შეუგდია.

— „არსენალი“ და „ასტონ ვილა“ 147-ჯერ წაბურთავებიან ერთმანეთს ინგლისის ჩემპიონატში, ხოლო აპტონპარკელებს „ჰაიბერიზე“ 1993 წლის შემდეგ არ უმარჯვიათ.

— „მეთოფეთა“ ფრანგმა მეგოლემ ტიერი ანრიმ, როგორც იქნა, პენალტის ნიშნულიდან შეძლო გოლის გატანა. მან წინა სამი თერთმეტმეტრიანი გააცუდა.

— „მიდლსბრო“ 1951 წლის შემდეგ „ვესტ ბრომვიჩს“ სტუმრად ვერ ამარცხებს.

— „ჩელსის“ რვა წაუგებელი მატჩი დაუგროვდა (6 მოგება, 2 ფრე), თანაც ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსჯერ გოლგაუშვებლად ტოვებენ მინდორს.

— ბოლო 53 მატჩში „სანდერლენდმა“ მხოლოდ შვიდჯერ შეძლო ერთზე მეტი გოლის გატანა.

— შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა „ბლექბერნმა“, „ფულემს“ 2:1 მოუგო, ხოლო „ვესტ ბრომვიჩმა“ მეათე შეხვედრაში პირველად გაიმარჯვა.

### იტალია

— „ლაციომ“ ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო სტუმრად და პირველ ადგილზე ავიდა. ბოლოს „ლაციო“ სერია A-ს სათავეში 79 ტურის წინ იყო. რომაელთა წაუგებელმა სერიამ კი, უეფას თასის ჩათვლით, 16 მატჩს უწია — 11 მოგება და 5 ფრე.

— მეოთხე სეზონია, „რომა“ საკუთარ მოედანზე „იუვენტუსის“ ძლევას ვერ ახერხებს, ფაბიო კაპელოს გუნდი ტურინელებთან ყველა მატჩში ერთ გოლს მაინც უშვებს.

— „ბოლონიამ“ ექვსი საშინაო შეხვედრიდან ყველა მოიგო. მსგავსი შედეგი გუნდს 1962-63 წლების სეზონში ჰქონდა.

— „იუვენტუსმა“ ხუთ დღეში მეორედ მოახერხა 0:2-ზე თამაშის გადარჩენა. ჯერ ჩემპიონთა ლიგაში „დეპორტივოსთან“, ახლა კი „რომასთან“. 18 ტურია, „იუვენტუსი“ ჩემპიონატში არ დამარცხებულა.

— ფრანჩესკო ტოტიმ მეცხრე გოლი მიითვალა და შარშანდელთან შედარებით მაჩვენებელი გააუმჯობესა. წინა სეზონში ამ დროს მის ანგარიშზე რვა გოლი იყო.

— ანდრეი შევჩენკომ სერია A-ში მეასე მატჩი ითამაშა და 64-ე გოლი გაიტანა.

— ალესანდრო დელ პიერო სეზონში 17 გატანილი გოლით ფილიპო ინძაგის დაეწია.

— 18 წელია, „ინტერის“ არც ერთ ფეხბურთელს ერთ თამაშში ოთხი გოლი არ შეუგდია. ეს კრისტიან ვიერიმ მოახერხა „ბრეშასთან“.

— 12 ტურში „რომას“ უკვე მეხუთე მოთამაშე გაუძევეს. ვენსან კანდელა და ფრანჩესკო ტოტი მომავალ უქმეებზე „მილანთან“ ვერ ითამაშებენ.

— „კომო“ — „უდინეზეს“ შეხვედრა ძლიერი წვიმის გამო გადაიდო და მოგვიანებით გაიმართება. წვიმამ ტბა კომო ისე აავსო და გადაავსო, რომ წყალი ნაპირიდან გადავიდა და სტადიონის მიმდებარე ადგილები გვარიანად დატბორა.

### ესპანეთი

— ფეხის მოტეხილობის გამო ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ „დეპორტივოს“ ლიდერი, ხუან ვალერონი მოედანს დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ მან ფეხი 21 სექტემბერს, „ვალიადოლიდთან“ მატჩისას მოიტეხა. ფეხბურთელის ზესწრაფი გამოჯანმრთელებით კლუბის ექიმები გაოგნებულნი არიან.

— „დეპორტივოდან“ „მალიორკაში“ განათხოვრებულმა, ლაკორუნიელთაგან დაწუნებულმა ვალტერ პანდიანიმ თავისი მერვე პრიმერადივიზიონური გოლი ყოფილ კლუბს გაუტანა და დაუმტკიცა, რომ მისი შესაძლებლობები ჯეროვნად ვერ შეაფასეს.

— ლა კორუნიაში „მალიორკას“ არასოდეს მოუგია. ამ სეზონში მეორე ფრე გაახერხა და ზედიზედ წაგებული მატჩითა სერია ცხრამდე აიყვანა.

— „ვალენსია“ სტუმრად „ალავესთან“ 1955 წლის შემდეგ არ დამარცხებულა.

— „სელტას“ ფორვარდმა დიეგო კატანიამ ბოლო ორ თვეში პირველი გოლი შეაგდო. ის ზედიზედ სამი სეზონია, „ვალიადოლიდს“ უტანს. შარშან კი სულაც ჰეთ თრიქი შეუსრულა.

— პაბლო აიმარისა და კილი გონსალესის გზას გაუდგა სანტიაგო კანისარესიც. ვალენსიელი მეკარე „ალავესთან“ მატჩში ხორდი კრუიფს შეეჯახა და მუხლი დაიზიანა. მის გამოკეთებას დაახლოებით სამი კვირა დასჭირდება, საერთოდ კი დღეისთვის „ვალენსიას“ ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი ტრავმირებულია.

— ბეტისელმა მარკუს ასუნსაომ ამ სეზონში მესამედ გაიტანა საჯარიმო დარტყმით.

— ფინანსური სიდუხჭირის გამო „უელვა“ ვილიარეალს ავტობუსით მიადგა. 804 კილომეტრის გავლას 10 საათი დასჭირდა და გადაღლილი სტუმრები მოედანზე ძლივს დალასლასებდნენ.

— „სელტამ“ ვალიადოლიდიდან ზედიზედ მეოთხედ წაიღო სამი ქულა, ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში კი „ვალიადოლიდმა“ მხოლოდ ერთხელ შეძლო შინ ვიგოელთა დამარცხება.

— „რაიო ვალეკანოს“ მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი, 57-ე წუთზე წითელი ბარათის ძალით მსაჯმა ტრიბუნებზე გადააბრძანა. თავის მხრივ მადრიდელთა მეტოქის, „ესპანიოლის“ თავკაცი რამონ მოიაც დისკვალიფიცირებულია. იგი თამაშს ვიდეოოპერატორის ოთახიდან უყურებდა და თანაშემწეებს მითითებას ტელეფონით აძლევდა.

— შემადგენლობის გადახალისების შედეგად სანტანდერის „რასინგის“ მწვრთნელმა მანოლო პრესიადომ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია „მალაგას“ დამარცხებით შეწყვიტა.



რომაელმა ქომაგებმა „იუვენტუსთან“ ფრე იწყინეს

## სერიები გადაიდო

**ბოლო დროს** იტალიაში მატჩების მსვლელობისას და ნამატჩევს ცემატყეპა გახშირდა. ეს ყველა სერიას ეხება.

ამჯერად სერია B-ში, „ნაპოლი“ — „პალერმოს“ მატჩის დასრულების შემდეგ გაშმაგებული ფანები „ნაპოლის“ კაპიტნის ავტომობილს დაედევნენ. მანქანაც და მისი პატრონიც გვარიანად ცემეს.

სერია C-ს გუნდის, „პიზაროს“ მწვრთნელი და მისი ოჯახი დარბევას დროულად მისულმა პოლიციელებმა გადაარჩინეს.

წყალწაღებული „ტორინოს“ მორიგი მარცხით გახელებულმა გულშემატკივრებმა კლუბის ბოსების ჩაწიხვლა მოინდომეს და ლოჟაში მსხდომთ მიუხდნენ. სტადიონზე დაწყებული არეულობა მის გარეთაც გაგრძელდა.

„რომას“ ფანობა, განაწყენებული იმით, რომ „იუვენტუსი“ მარცხს გადაურჩა, ფრანჩესკო ტოტი კი გააძევეს, პოლიციას და კარაბინიერებს დაერია, მერე რამდენიმე ავტომობილი ცეცხლის ალში გახვიეს.

ბოლონიაში სიხარულით გაგიჟებული ერთ-ერთი გულშემატკივარი ზედმეტი ხტუნაობის გამო მეორე იარუსიდან პირველში გადავარდა და საავადმყოფოში გააქანეს.

იტალიის საფეხბურთო ლიგამ პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა, რომ მომავალ უქმეებზე ყველა სერიაში მატჩები 15 წუთის დაგვიანებით დაიწყოს, ხოლო თუ გიჟმაჟებს ასეთი გამაფრთხილებელი აქციაც ვერ მოიყვანს გონზე, შეიძლება, უკიდურეს ზომებსაც მიმართონ.

# საკონტინენტთაშორისო თასი 2002

## რეალი (ესპანეთი) 2:0 ოლიმპია (პარაგვაი)

1:0 რონალდო (14), 2:0 გუტი (84)

კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კამბიასო (პავონი 90), მაკელელე, ზიდანი (სოლარი 86), რაული, რონალდო (გუტი 82)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ტავარელი, ისასი, პ. ბენიტესი, ზელაია, ხარა, ორტემანი, ხ. კასერესი, ენსისო, გ. კორდობა (ბაესი 65), რ. ლოპესი, მ. ბენიტესი (მ. კაბალიერო 81)
მწვრთნელი: ნერი პუმპიდო

იოკოჰამა. „იოკოჰამა სთედიუმ". 66 070 მაყურებელი. მსაჯი: კარლოს ეუჟენიო სიმონი (ბრაზილია)

# იქ, სადაც მეფეები თავისი ფეხით ადიან



რობერტო კარლოსის საჯარიმო დარტყმა, ცხადია, სახიფათო იყო

**იოკოჰამამ** მადრიდის „რეალი" მეფურად გააცილა. გააცილა ორი თასით — საკონტინენტთაშორისო და ტოიოტასი — და „ტოიოტას" უზარმაზარი გასაღებით, რომელიც რონალდოს არ დაუკარგავს, მაგრამ „იოკოჰამა სთედიუმზე" იპოვა, იქ, სადაც 5 თვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში 2 გოლი შეაგდო. იპოვა თავისი თამაშით და „ტოიოტას" საჭესაც დამსახურებულად ჩაებღაუჭება. გასარკვევი ისღაა, თუ ვინ ჩაჯდება წინ, თუმცა რეალელები, იმედია, მძღოლის გვერდით ადგილის დასაკავებლად ერთურთში არ იჩხუბებენ.

ორ კონტინენტს შორის პირველობისთვის მორიგი დავა ევროპელების სასარგებლოდ დასრულდა. ესპანური „რეალი" პარაგვაულ „ოლიმპიაზე" მართლაც ძლიერია. ეს მატჩი პროფესორებისა და სტუდენტების ჭიდილს წააგავდა, რომელშიც კლასმა და გამოცდილებამ იძალა. რობერტო კარლოსის ფლანგურ ქროლვას, ადგილიდან მოსხლეტილ რონალდოს, ლუიშ ფიგუს უტეხ ჟინს სამხრეთამერიკელებმა აქაიქ მწვავე ჩხვლეტით უპასუხეს, მაგრამ სამეფო გვირგვინს ვერ გადაახტნენ.

პირველი ტაიმი უდავოდ რობერტო კარლოსის საკუთრება იყო. მან გვარიანად დააწიოკა „ოლიმპიას" მარჯვენა ფრთა. ყოველი შესაძლებლობისთანავე კარში ურტყამდა, თუმცა მეტოქის მცველები ვაჟკაცურად იგერიებდნენ და გეზნაცვალი ბურთი კი უმეტესად მოედნის გარეთ მიფრინავდა.

ჩია ბრაზილიელის გარჯა თანამემამულემ დაუფასა. მორიგი ჩაშრიალებისას კარლოსმა საჯარიმოს წინა ხაზთან ჩააწოდა, რაულმა რონალდოს სუნთქვა ზურგსუკან იგრძნო და გაატარა. „კიჭას" ფეხებთან ნელსონ ზელაია ჩაუწვა, მაგრამ რონალდო ბურთიანად დაუძვრა მეურვეს, მარჯვენა მოიჭრა და

...დ დაამარცხა „სან ლორენსო" ფერნანდო ინ-

...ბანც, ბუენოს აირესიდან ოცდაათი კი-

რიკარდო ტავარელის (მეტსახელად „მონო") სალაპარაკო არ დაუტოვა.

„ოლიმპია" არ არეულა. პარაგვაელები ცდილობდნენ, თავისი ფეხბურთი ეთამაშათ. სწრაფი კონტრშეტევების ხარჯზე „რეალის" საჯარიმოს იოლად უახლოვდებოდნენ, მაგრამ მათი ფორვარდები უმეტესად მადრიდელ მცველებთან რიცხობრივ უმცირესობაში რჩებოდნენ. შედეგად შეტევის განვითარებაც ფერხდებოდა. მიუხედავად ამისა, ორი რეალური საგოლე მომენტი მაინც გამოკვესეს. ერთხელ იკერ კასილიასის სამსახურში ძელი ჩადგა, მეორედ კი მიგელ ანხელ ბენიტესი ახლოდან დარტყმულს თავად კასილიასი გადაეფარა.

შესვენების შემდეგ რობერტო კარლოსი ალავერდს ლუიშ ფიგუსთან გადავიდა. პორტუგალიელმა მეორე ტაიმის პირველივე წუთზე რაულს საჯარიმოში წაუმძღვარა ბურთი, რომლის მახვილი კუთხიდან დარტყმულმაც ტავარელი ააფორიაქა. მერე რონალდომ გამოყო ფეხი. მცველი ადგილზე გამოაქანდაკა, ძლიერადაც დაჰკრა, მაგრამ მიზანმა უღალატა.

ხიფათს ხიფათითვე უპასუხა „ოლიმპიამ". როდრიგო ლოპესის გატყორცნილი კასილიასმა გაჭირვებით მოიგერია. გვარიანად გაიწელა ტავარელიც, როცა რობერტო კარლოსმა „მშობლიური ცაციით" შორეულ კუთხეში მოუჭრა.

პარაგვაელებმა მეორე ნახევრის შუაწელიდან „რეალის" კართან უფრო ახლოს მიცუცქება მოინდომეს. დროდადრო გამოსდიოდათ კიდეც. ბენიტესმა საჯარიმოს გარედან დასხლიტა და რომ არა ივან ელგერას ზურგი, კასილიასს ალბათ ბურთთან უსიამოვნო შეხვედრა ელოდა.

მეტოქის ნახევარს მიძალებული „ოლიმპიას" დაცვამ შეცდომებს უმატა. კლოდ მაკელელემ მეტოქის შეტევა მოედნის ცენტრი ჩაჭრა და ბურთი რონალდოს უბოძა. მანაც აკრიფა, მცველს გაასწრო, მეკარეც დააწვინა და მახვილი კუთხიდან კარის გასწვრივ ჩააჭოდა — ჩამორჩენილი „რაული" და მაკელელე ისე გასრიალდნენ ბალახზე, რომ ბურთს ფეხი ვერ მოარტყეს.

მატჩის მიწურულს ნერი პუმპიდომ შეტევის გაალმასება სცადა. ბაესი და კაბალიერო კორდობას და მიგელ ბენიტესს ჩაუნაცვლა. შეცვლაზე შესულთაგან ბაესს შეეძლო გაექვითა მას შემდეგ, რაც სერხიო ორტემანის ჩაწოდებულს თავური ჰკრა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა, რადგან ბურთს სათანადოდ ვერ შესწვდა.

სამაგიეროდ, ვისენტე დელ ბოსკეს რონალდოს შემცვლელმა გუტიმ გაუმართლა. ლუიშ ფიგუმ მეტოქის საჯარიმოში მაღალი ჩაჰკიდა და გუტიმ ნელსონ ზელაიასთან ჯაჯგურში თავით გაიტანა.

ნამატჩევს, როგორც წესია, ხელიდან ხელში გადადიოდა თასები, იყო ხტუნვა-თამაში, ქაცვების ქლარაჯლური საგანგებოდ მომზადებულ ფიცარნაგზე, ხვევნა-კოცნაც არ დაზარებიათ გამარჯვებულთ და იდგა სამეფო კლუბი იქ, სადაც მეფეები თავისი ფეხით ადიან, მადრიდის „რეალმა" ხომ მესამედ აიტაცა საკონტინენტთაშორისო თასი.

ვისენტე დელ ბოსკე ულვაშების ცმაცუნით ენატკბილობდა: „დღეს დავამტკიცეთ, რომ „რეალი" მხოლოდ ვარსკვლავთა კოლექცია არ არის. კმაყოფილი ვარ ფეხბურთელთა მონდომებით. მათ გუნდური სული გამოავლინეს. ცხადია, თასის მოგება მიხარია, მაგრამ უფრო იმით ვხარობ, რომ რამდენიმე მატჩში გოლი ვერ გაგვქონდა, ახლა კი მოვახერხეთ. ბიჭები თავის ჩვეულ ფორმას უბრუნდებიან. ვიმედოვნებ, ეს განწყობა შინა ჩემპიონატში გადაგვყვება და ძველებურად ავთამაშდებით."

რონალდოს, ცხადია, იოკოჰამამ მსოფლიოს ჩემპიონატი გაახსენა: „თქვენ შეგიძლიათ ამ სტადიონს ჩემთვის ბედნიერი უწოდოთ. სამმატჩოდ იგივე მოტივაცია მქონდა, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ. გოლი კი გავიტანე, მაგრამ მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ."

ლუიშ ფიგუმ კი ხელები გაშალა: „რა გითხრათ? ჩვენ ორი დიდი ფეხბურთელი გვყავს, რონალდო და რობერტო კარლოსი. მათ მოედანზე ყველაფერი ძალუძთ. რონალდოს რამდენჯერმე კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მთავარია, რომ თასი ავწმართეთ."

**გაგა ხუციშვილი**



მადრიდელებმა „ტოიოტას" და საკონტინენტთაშორისო თასები ჩაიხუტეს

ოფიციალური ჩემპიონატი არგენტინაში 1931 წლიდან ტარდება, ტიტული ასჯერ გათამაშდა და ჩემპიონობა 13 გუნდს ეღირსა.

თუ 1931-დან 2002-მდე გადმოთვალეთ და ას სეზონზე ნაკლები მიიღეთ, შეცდომის ძებნას ნუ დაიწყებთ, რაკი 1991 წლამდე არგენტინის ჩემპიონატი ჩვეულებრივი, ევროპული სისტემით ტარდებოდა, მას მერე კი წელიწადში ორი ჩემპიონატი – აპერტურა და კლაუსურა იმართება. ანუ თითო წრე დამოუკიდებელი ჩემპიონატია

**ჩემპიონები. 1931-2002**

| | |
|---|---|
| რივერ პლეიტი | 30 |
| ბოკა ხუნიორსი | 19 |
| ინდეპენდიენტე | 13 |
| სან ლორენსო | 9 |
| რასინგი | 7 |
| ველეს სარსფილდი | 5 |
| ნიუელს ოლდ ბოიზი | 4 |
| როსარიო სენტრალი | 4 |
| ესტუდიანტესი | 3 |
| არგ. ხუნიორსი | 2 |
| ფერო კარილი | 2 |
| ურაკანი | 1 |
| კილმესი | 1 |

**აპერტურა — კლაუსურას ჩემპიონები**

| | კლაუსურა | აპერტურა |
|---|---|---|
| 1991 | არ ჩატარებულა | რივერ პლეიტი |
| 1992 | ნიუელს ოლდ ბოიზი | ბოკა ხუნიორსი |
| 1993 | ველეს სარსფილდი | რივერ პლეიტი |
| 1994 | ინდეპენდიენტე | რივერ პლეიტი |
| 1995 | სან ლორენსო | ველეს სარსფილდი |
| 1996 | ველეს სარსფილდი | რივერ პლეიტი |
| 1997 | რივერ პლეიტი | რივერ პლეიტი |
| 1998 | ველეს სარსფილდი | ბოკა ხუნიორსი |
| 1999 | ბოკა ხუნიორსი | რივერ პლეიტი |
| 2000 | რივერ პლეიტი | ბოკა ხუნიორსი |
| 2001 | სან ლორენსო | რასინგი |
| 2002 | რივერ პლეიტი | ინდეპენდიენტე |

ჩამოშორდა ჩემპიონობისთვის ბრძოლას, რაშიც ლომის წილი „ბოკამ" დაიდო. „რივერმა" თავისი ბოლო საპერტურო მატჩი 4:1 მოუგო „რასინგს" და ამ ოთხიდან პირველი გოლი ყრმა ანდრეს აიმარმა, „ვალენსიაში" მოთამაშე პაბლო აიმარის ძმამ გაიტანა.

„ინდეპენდიენტეს" სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ გუნდმა გასული კლაუსურა ბოლო ადგილზე დაასრულა, მაგრამ ფინანსურ და გუნდურ კრიზისს მოერია და ჩემპიონი გახდა.

### ოჩორიო ბუსტოს დომეკი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 19 | 13 | 4 | 2 | 48:19 | 43 |
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 12 | 4 | 3 | 32:15 | 40 |
| რივერ პლეიტი | 19 | 11 | 3 | 5 | 35:23 | 36 |
| ჩაკარიტა | 19 | 9 | 3 | 7 | 19:21 | 30 |
| ველესი | 19 | 8 | 4 | 7 | 23:19 | 28 |
| რასინგი | 19 | 8 | 4 | 7 | 28:28 | 28 |
| კოლონი | 19 | 7 | 7 | 5 | 26:26 | 28 |
| არსენალი | 19 | 7 | 6 | 6 | 29:25 | 27 |
| სან ლორენსო | 19 | 7 | 6 | 6 | 28:25 | 27 |
| ოლდ ბოიზი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:22 | 27 |
| ლანუსი | 19 | 6 | 8 | 5 | 21:24 | 26 |
| ბანფილდი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:17 | 25 |
| როსარიო | 19 | 7 | 4 | 8 | 36:34 | 25 |
| უნიონი | 19 | 6 | 5 | 8 | 26:28 | 23 |
| ტალერესი | 19 | 5 | 8 | 6 | 23:27 | 23 |
| ხიმნასია | 19 | 4 | 8 | 7 | 18:24 | 20 |
| ოლიმპო | 19 | 5 | 5 | 9 | 20:30 | 20 |
| ნუევა ჩიკაგო | 19 | 3 | 6 | 10 | 20:29 | 15 |
| ესტუდიანტესი | 19 | 4 | 3 | 12 | 21:36 | 15 |
| ურაკანი | 19 | 2 | 5 | 12 | 17:42 | 11 |

პენალტი არ გა...

გარიში გაუთანაბრებინა.

„ფლუმ" კი 77-ე წუთზე გაიტანა: მაგნუ ალვეშმა რომარიოს გაუჭრა ბურთი და ამანაც სეზონში მეთექვსმეტე გოლი შეაგდო.

ვენ ჩემპიონობას და მანამდე ეჭირებათ პლაკატები ასე, სანამ საყვარელი გუნდი ტიტულს არ მოიგებს.

საპასუხო მატჩები კი დღეს გაიმართება.

**დანიელუ დუ ჟულგატუ**



ფლუმინენსე — კორინთიანსი. რომარიომ მასპინძელთა გამარჯვებისა გაიტანა



# რა ცოტა დრო...
## ბონეკი 5 თვეში მიხვდა

„**უკვე** მივუტანე განცხადება გადადგომის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს. მადლობას ვუხდი ფეხბურთელებს და წარმატებას ვუსურვებ. ჩემი გადაწყვეტილების კომენტარს კი ნუ მომთხოვთ“ — უთხრა ჟურნალისტებს ზბიგნევ ბონეკმა პოლონეთის ეროვნული გუნდის სათავეში ყოფნის ხუთი თვის თავზე.

ისე, ბონეკის გადაყენება რომ დროის ამბავი იყო, ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში, ლატვიასთან მარცხის შემდეგ ცხადი შეიქნა. ბონეკმაც გადაყენებას საკუთარი სურვილით წასვლა ამჯობინა.

რასაკვირველია, მისი განცხადება დააკმაყოფილეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე რიხით გსულმა, იქ კი სირცხვილნაჭამმა პოლონეთის ნაკრებმა ყოფილი ვარსკვლავის ხელში 5 მატჩიდან 2 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა და 2 წააგო. მწვრთნელის განზრახვამ, ვეტერანები ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით ჩაენაცვლებინა, გუნდში განხეთქილება გამოიწვია. ზოგიერთმა ვეტერანმა, მაგალითად, ტომაშ ჰაიტომ საერთოდ არ ისურვა ბონეკის ნაკრებში თამაში.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის მეოთხე შესარჩევ ჯგუფში ლატვიისა და უნგრეთის შემდეგ პოლონეთი მესამეა. ქულების ალება კი სლავებმა მხოლოდ მაჩანჩალა სანმარინოელებთან მოახერხეს და ისიც გვარიანი გაჭირვებით.

**სერგი ჭოლიძე**

# რაც ნაროღვნას დაუნგრევია

**სატელეფონო** გამოკითხვა ჩატარდა და გაირკვა, რომ გერმანელ ქომაგთა უმეტესობამ 16 დეკემბერს დანიშნულ საქველმოქმედო მატჩში ბუნდესლიგის უცხოელ ვარსკვლავთა გუნდის კაპიტნად ჯოვანი ელბერი დაასახელა. ამ მატჩით მონაგებ თანხას გერმანელები აგვისტოში ქვეყნის დატბორილი რეგიონების აღდგენისთვის გამოიყენებენ. ბუნდესლიგის უცხოელ ვარსკვლავთა გუნდი გერმანიის ნაკრებს შეხვდება.

გამოკითხვაში ელბერს კონკურენცია მისებრ თავდამსხმელმა, ებე სანდმა გაუწია. მოგეხსენებათ, პირველი მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობს, ხოლო მეორე „შალკე 04“-ში, რაც შეეხება მწვრთნელს, ყველაზე მეტი ხმა ჰოლანდიელმა ჰუუბ სტევენსმა მოიპოვა. იგი ბერლინის „ჰერტას“ ხელმძღვანელობს.

საბოლოოდ, უცხოელთა გუნდი ხუთი ბრაზილიელისგან, სამი ჩეხისგან, ორი ჰოლანდიელისგან და კიდევ რამდენიმე ქვეყნის თითო ფეხბურთელისგან შედგა, გერმანელთა ნაკრები კი ბუნდესმწვრთნელ რუდი ფიოლერს ჯერ არ დაუსახელებია. მან განმარტა:

„ვინაიდან ეს მატჩი ოფიციალურ სანაკრებო შეხვედრად გვეთვლება, ჯერ უცხოეთში მოთამაშე გერმანელების მწვრთნელებს უნდა დაველაპარაკო. მინდა საუკეთესო შემადგენლობა შევკრიბო.“

შემდეგ მან ბუნდესლიგაში მოთამაშე უცხოელებზე ისაუბრა:

„ჩახედეთ სიას და დაინახავთ, რომ ჩვენს ჩემპიონატს იტალიის, ესპანეთის ან ინგლისის ჩემპიონატებთან შედარება არ უნდა ეშინოდეს. აქ მოთამაშე უცხოელები განსაკუთრებით ძლიერნი თავდასხმაში არიან. იმის თქმა არ მინდა, რომ მათთან თამაშის მეშინია, მაგრამ 16 დეკემბრის მეტოქეს უთუოდ დიდ პატივს ვცემ.“

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის 15 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია. მატჩი გელზენკირხენში გაიმართება.

**ბაჩუნა ძიძია**

### გერმანული ბუნდესლიგის ლეგიონერთა ნაკრები

***მეკარეები:*** *გაბორ კირალი (ჰერტა; უნგრეთი), ტომისლავ პილიცა (კოტბუსი; ბოსნია);*

***მცველები:*** *ჯეფ შტრასერი (მიონხენგლადბახი; ლუქსემბურგი), სამუელ კუფური (ბაიერნი; განა), ფრანკ ვერლაატი (ვერდერი; ჰოლანდია), ნილს უდე კამპუისი (შა-*

***ნახევარმცველები:*** *ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი; ჩეხეთი), მარსელინიო (ჰერტა; ბრაზილია), კრასიმირ ბალაკოვი (შტუტგარტი; ბულგარეთი), კრისტიან პოულსენი (შალკე; დანია), [illegible]*

[illegible] ნხლებით გაიმართა. შინდორში ნულ მთლად დატბორილი იყო და ბურთის გორება ძალიან ჭირდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, მაყურებელმა შვიდი გოლი იხილა. 79-ე წუთამდე სტუმრები 0:4 იგებდნენ, თუმც სასოწარკვეთილმა მასპინძლებმა შვიდი წუთის გა- [illegible] ჭრგის არყოფნაში, რომელსაც ხუთი ყვითელი ბარათი დაუგროვდა „ვოლფსბურგმა“ გასვლაზე ზედიზედ მეოთხედ წააგო, ხოლო „კაიზერსლაუტერნმა“ სეზონში მეორე გამარჯვებას მიაღწია. ეტყობა, კლუბზე იმან იმოქმედა რომ ხელმძღვანელები ფეხბურთელებს დაემუქრნენ, თუ ზე- [illegible]



დაუჯერებელი ამბავი: ტიერი ანრიმ პენალტი გაიტანა

[illegible] სათრკელებს „პაიბერიზე“ [illegible] წლის შემდეგ არ უმარჯვიათ.

— „მეთოფეთა“ ფრანგმა მეგოლემ ტიერი ანრიმ, როგორც იქნა, პენალტის ნიშნულიდან შეძლო გოლის გატანა. მან წინა სამი თერთმეტმეტრიანი გააცუდა.

— „მიდლსბრო“ 1951 წლის შემდეგ „ვესტ ბრომვიჩს“ სტუმრად ვერ ამარცხებს.

— „ჩელსის“ რვა წაუგებელი მატჩი დაუგროვდა (6 მოგება, 2 ფრე), თანაც ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსჯერ გოლგაუშვებლად ტოვებენ მინდორს.

— ბოლო 53 მატჩში „სანდერლენდმა“ მხოლოდ შვიდჯერ შეძლო ერთზე მეტი გოლის გატანა.

— შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა „ბლექბერნმა“, „ფულემს“ 2:1 მოუგო, ხოლო „ვესტ ბრომვიჩმა“ მეათე შეხვედრაში პირველად გაიმარჯვა.

## იტალია

— „ლაციომ“ ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო სტუმრად და პირველ ადგილზე ალზევდა. ბოლოს „ლაციო“ სერია A-ს სათავეში 79 ტურის წინ იყო. რომაელთა წაუგებელმა სერიამ კი, უეფას თასის ჩათვლით, 16 მატჩს უწია — 11 მოგება და 5 ფრე.

— მეოთხე სეზონია, „რომა“ საკუთარ მოედანზე „იუვენტუსის“ ძლევას ვერ ახერხებს, ფაბიო კაპელოს გუნდი ტურინელებთან ყველა მატჩში ერთ გოლს მაინც უშვებს.

— „ბოლონიამ“ ექვსი საშინაო შეხვედრიდან ყველა მოიგო. მსგავსი შედეგი გუნდს 1962-63 წლების სეზონში ჰქონდა.

### ფეხბურთის რუკასთან



**აშშ** სტადიონებზე მისულ გულშემატკივრებს თამაშის ყურება ახალი ტექნიკური აღჭურვილობით გამდიდრებულ პატარა ტელევიზორითაც შეეძლებათ. INSIDER-ი, როგორც მას უწოდებენ, ქომაგებს საშუალებას მისცემს, ტრიბუნებზეც ისე იგრძნონ თავი, როგორც საკუთარ სახლში, მათ ყველა მომენტის განმეორებით ნახვა შეეძლებათ. ჯერ INSIDER-ი მხოლოდ გაქირავებაში გამოვა, რისი ფასიც 20-25 დოლარი იქნება. ვარაუდობენ, რომ გასაყიდი ფასი 1000 დოლარამდე გაიზრდება.

**რუსეთის ქალაქ სანკტ პეტერბურგში ადგილობრივი „ზენიტის“ გულშემატკივრებმა პაველ სადირინის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფა დაკიდეს იქ, სადაც 1984 წელს „ზენიტის“ გამჩემპიონებელი მწვრთნელი ბოლო წლებში ცხოვრობდა. დაფაზე წააწერეს: „პაველ სადირინს პეტერბურგელი გულშემატკივრებისგან“.**

**თურქული** „ფენერბაჰჩეს“ ებრაელი ლეგიონერი ხავი რევივო დიდ პრობლემებს უქმნის კლუბს. მას მომავალი წლის ზაფხულში კონტრაქტი ეწურება და თურქებს თავისუფალი აგენტის სტატუსით, უფულოდ დაშორდება. „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი ამას კი ვერ გადაიტანს, ფეხბურთელის სასწრაფოდ გაყიდვას აპირებს და ამიტომ დაჟინებით სთხოვს მწვრთნელ ვერნერ ლორანტს რევივო სათადარიგოთა სკამიდან წამოაყენოს და ათამაშოს, რათა მისმა სატრანსფერო ფასმა აიწიოს. რიდუან დილმანი, „ფენერბაჰჩეს“ ყოფილი ვარსკვლავი, ცოფებს ჰყრის: „ხავი რევივოს სახით „ფენერბაჰჩეს“ დიდი პრობლემა აქვს, როცა ტრავმირებულია, თავქუდმოგლეჯილი გარბის ისრაელში და მაყურებლად ყოფნასაც არ კადრულობს, თანაც მისი ფიზიკური მდგომარეობა ნულის ტოლია“. კლუბის სხვა მაღალჩინოსნები კი ამ აურზაურში ლორანტს ადანაშაულებენ. ინტერნეტით ჩატარებულ გამოკითხვაში, სურთ თუ არა რევივოს დარჩენა, გულშემატკივართა 69 პროცენტი ყოფილი სელტელის მხარეზე ყოფილა, დანარჩენი 31 კი მის დაუყოვნებლივ გასხვისებას ითხოვს. ერთი კვირის წინ ფეხბურთელი პრეზიდენტს ესაუბრა და განუცხადა, რომ შეთანხმებას მიაღწია თავის ყოფილ კლუბ „სელტასთან“ და ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გათავისუფლება ითხოვა. ასევე ამბობენ, რომ მას „ჰამბურგი“ და „მონაკო“ იწვევენ.

**ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გავრი ლევიმ ინგლისურ „უოტფორდთან“ შეთანხმებას მიაღწია, რათა ისრაელის ნაკრებმა, თუ უეფა კვლავ აუკრძალავს ისრაელში თამაშს, ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩები მის სტადიონზე გამართოს. თავის დროზე „უოტფორდში“ რონი როზენტალსა და ალონ ხაზანს უთამაშიათ. სტადიონი 22 ათას მაყურებელს იტევს და სავსებით აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს.**

**რუსულ** „სპარტაკს“ ფიფას რეგლამენტი ნებას რთავს, დმიტრი სიჩევისგან ბოლო სარგებელიდა მიიღოს. საქმე საკომპენსაციო თანხას ეხება. ამის შესახებ ფიფას წარმომადგენელმა ჯანპაოლო მონკენერიმ განაცხადა. „სპარტაკი“ კი საკომპენსაციოდ 6 მილიონ დოლარს ითხოვდა, მაგრამ ოთხ იანვარს, როცა სიჩევს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვა, თანხა გაცილებით ნაკლები იქნება. საკომპენსაციო თანხით ხელის მოთბობა იმ გუნდებსაც შეუძლიათ, რომლებსაც სიჩევის აღზრდაში წვლილი შეუტანიათ.

**ინგლისში მოუთმენლად ელიან ირჟი დუდეკისა და ტერი ვენეიბლზის სამომავლო ბატალიებს. პირველი, როგორც მოგეხსენებათ, „ლივერპულის“ კარის დარაჯია და ბოლო ხანებში თავის მოვალეობას არც თუ სახარბიელოდ ართმევს თავს. ჟერარ ულიემ თქვა, რომ მისი გასხვისებაც კი მოსალოდნელია, თუმც ფრანგმა ეს ცხელ გულზე განაცხადა, ჯერჯერობით კი გადაწყდა — „ლივერპულის“ მომდევნო მატჩში კარს კირკლენდი დაიცავს. აი, ვენეიბლზის ხელმძღვანელობით კი „ლიდსი“ ცხრილში სწრაფად შევაში დაოსტატდა. კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი ჯერჯერობით დუმს, თუმც ინგლისელი ჟურნალისტების აზრით, მის აფეთქებას უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ.**

**ესპანური** „რეალის“ პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს, მისი კლუბის სათადარიგოთა სკამის ვისენტე დელ ბოსკეს გარეშე ხილვა ვერ წარმოუდგენია. კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ მხარეები მაგიდას მარტის თვეში [illegible] მიუსხდნენ, თუმც პრეზიდენტი სულსწრაფობს და გუშინ „ოლიმპია- [illegible] თამაშამდე გამართულ სადილზე მწვრთნელს კლუბში დარჩენაზე ჩამო- [illegible]



რომაელმა ქომაგებმა „იუვენტუსთან“ ფრე იწყინეს

# სერიები გადაიდო

**ბოლო დროს** იტალიაში მატჩების მსვლელობისას და ნამატჩევს ცემა-ტყეპა გახშირდა. ეს ყველა სერიას ეხება.

ამჯერად სერია B-ში, „ნაპოლი“ — „პალერმოს“ მატჩის დასრულების შემდეგ გაშმაგებული ფანები „ნაპოლის“ კაპიტნის ავტომობილს დაედევნენ, მანქანაც და მისი პატრონიც გვარიანად ქექეს.

სერია C-ს გუნდის, „პიზაროს“ მწვრთნელი და მისი ოჯახი დარბევას დროულად მისულმა პოლიციელებმა გადაარჩინეს.

წყალწაღებული „ტორინოს“ მორიგი მარცხით გახელებულმა გულშემატკივრებმა კლუბის ბოსების ჩაწიხვლა მოინდომეს და ლოჟაში მსხდომთ მიუხდნენ. სტადიონზე დაწყებული არეულობა მის გარეთაც გაგრძელდა.

„რომას“ ფანობა, განაწყენებული იმით, რომ „იუვენტუსი“ მარცხს გადაურჩა, ფრანჩესკო ტოტი კი გააძევეს, პოლიციას და კარაბინიერებს დაერია, მერე რამდენიმე ავტომობილი ცეცხლის ალში გახვიეს.

ბოლონიაში სიხარულით გაგიჟებული ერთ-ერთი გულშემატკივარი ზედმეტი ხტუნაობის გამო მეორე იარუსიდან პირველში გადავარდა და საავადმყოფოში გააქანეს.

იტალიის საფეხბურთო ლიგამ პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა, რომ მომავალ უქმეებზე ყველა სერიაში მატჩები 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო, ხოლო თუ გიჟმაჟებს ასეთი გამაფრთხილებელი აქციაც ვერ მოიყვანს გონზე, შეიძლება, უკიდურეს ზომებსაც მიმართონ.



REUTERS

„ინდეპენდიენტემ“ გაიხარა და გაიხადა

# ინდეპენდიენტე ან სიკვდილი

## არგენტინა

### აპერტურა

80-19 ტური: ლანუსი — ტალერესი 2:2; სან ლორენსო — ინდეპენდიენტე 0:3; ბოკა ხუნიორსი — როსარიო სენტრალი 3:1; ნუველს ოლდ ბოიზი — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:0; ხიმნასია ლა პლატა — არსენალი 2:2; ბანფილდი — ნუევა ჩიკაგო 2:0; უნიონი — ესტუდიანტესი 4:0; ველეს სარსფილდი — კოლონი 1:0; რასინგი — რივერ პლეიტი 1:4; ოლიმპო — ურაკანი 2:0

**სადაც** არგენტინული ფეხბურთია, იქ სიკვდილიც ტრიალებს: ამ უქმეებზე „ბოკა ხუნიორსის“ გაშმაგებულმა ქომაგმა ტყვიები დაუშინა 42 წლის მიგელ ანხელ ფრანკოს, „ინდეპენდიენტეს“ გულშემატკივარს. კამათი ფეხბურთის გამო მოხდა, ფრანკო გარდაიცვალა. სროლა მოხდა ვილა იტალიაშიც, ბუენოს აირესიდან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით, სადაც ასევე „ბოკას“ ფანმა გაუხსნა ცეცხლი „ინდეპენდიენტეს“ მოხეიმე გულშემატკივრებს. რამდენიმე კაცი დაიჭრა, მსროლელები დააპატუსალეს.

ყველაფერი კი იმიტომ, რომ „ბოკა“ ვერ გახდა აპერტურას ჩემპიონი და ამ ჯერზე პირველობა ამერიკო გალიეგოს გაწვრთნილ „წითელ ეშმაკებს“, „ინდეპენდიენტეს“ დაუთმო.

აპერტურას ტიტულის ბედი, ფაქტობრივად ბოლოსწინა ტურში გადაწყდა, როცა ამ ორი გუნდის შეხვედრაში „ინდეპენდიენტემ“ ბოლო წუთებზე მიაღწია ფრეს და ამით „ბოკამ“ მათ შორის არსებული სამქულიანი ორმოს ამოვსება ვერ შეძლო.

ბოლო ტურში გალიეგოს გუნდს ფრეც ჰყოფნიდა, თუმცა იოლად დაამარცხა „სან ლორენსო“ ფერნანდო ინსუას, ლუკას პუსინარისა და ანდრეს სილვერას გოლებით. ამ უკანასკნელმა აპერტურას მთავარმეგოლეობაც კი იგდო ხელთ 16 ბურთით. თავისი თამაში „ბოკამაც“ მოიგო, მაგრამ ამას ფასი აღარ ჰქონდა.

„ინდეპენდიენტე“ რვა წელიწადია არ ყოფილა არგენტინის ჩემპიონი. ამ აპერტურაში მან 13 თამაში მოიგო, 4 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 2 წააგო. შიდა ტიტულებით ის მხოლოდ „რივერ პლეიტსა“ და „ბოკას“ ჩამორჩება, თუმცა, მისი ერთ-ერთი მეტსახელი „თასების მეფე“ იმასაც გულისხმობს, რომ გუნდი სათასო შეჯიბრებების კარუზოა.

„ინდეპენდიენტეს“ ოქროს ხანა 70-იანი წლები იყო, როცა კლუბი 4-ჯერ გახდა არგენტინის ჩემპიონი. თუმცა, სხვა რეკორდი უფრო შთამბეჭდავია: „ინდეპენდიენტეს“ სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მეტჯერ, 7-ჯერ მოუგია ლიბერტადორესის თასი.

რახან „რივერი“ ვახსენეთ, იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ადრევე ჩამოშორდა ჩემპიონობისთვის ბრძოლას, რაშიც ლომის წილი „ბოკამ“ დაიდო. „რივერმა“ თავისი ბოლო საპერტურო მატჩი 4:1 მოუგო „რასინგს“ და ამ ოთხიდან პირველი გოლი ყრმა ანდრეს აიმარმა, „ვალენსიაში“ მოთამაშე პაბლო აიმარის ძმამ გაიტანა.

„ინდეპენდიენტეს“ სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ გუნდმა გასული კლაუსურა ბოლო ადგილზე დაასრულა, მაგრამ ფინანსურ და გუნდურ კრიზისს მოერია და ჩემპიონი გახდა.

*ოფიციალური ჩემპიონატი არგენტინაში 1931 წლიდან ტარდება, ტიტული ასჯერ გათამაშდა და ჩემპიონობა 13 გუნდს ეღირსა.*

*თუ 1931-დან 2002-მდე გადმოთვალეთ და ას სეზონზე ნაკლები მიიღეთ, შეცდომის ძებნას ნუ დაიწყებთ, რაკი 1991 წლამდე არგენტინის ჩემპიონატი ჩვეულებრივი, ევროპული სისტემით ტარდებოდა, მას მერე კი წელიწადში ორი ჩემპიონატი – აპერტურა და კლაუსურა იმართება. ანუ თითო წრე დამოუკიდებელი ჩემპიონატია*

### ჩემპიონები. 1931-2002

| | |
|---|---|
| რივერ პლეიტი | 30 |
| ბოკა ხუნიორსი | 19 |
| ინდეპენდიენტე | 13 |
| სან ლორენსო | 9 |
| რასინგი | 7 |
| ველეს სარსფილდი | 5 |
| ნიუელს ოლდ ბოიზი | 4 |
| როსარიო სენტრალი | 4 |
| ესტუდიანტესი | 3 |
| არგ. ხუნიორსი | 2 |
| ფერო კარილი | 2 |
| ურაკანი | 1 |
| კილმესი | 1 |

### აპერტურა — კლაუსურას ჩემპიონები

| | კლაუსურა | აპერტურა |
|---|---|---|
| 1991 | არ ჩატარებულა | რივერ პლეიტი |
| 1992 | ნიუელს ოლდ ბოიზი | ბოკა ხუნიორსი |
| 1993 | ველეს სარსფილდი | რივერ პლეიტი |
| 1994 | ინდეპენდიენტე | რივერ პლეიტი |
| 1995 | სან ლორენსო | ველეს სარსფილდი |
| 1996 | ველეს სარსფილდი | რივერ პლეიტი |
| 1997 | რივერ პლეიტი | რივერ პლეიტი |
| 1998 | ველეს სარსფილდი | ბოკა ხუნიორსი |
| 1999 | ბოკა ხუნიორსი | რივერ პლეიტი |
| 2000 | რივერ პლეიტი | ბოკა ხუნიორსი |
| 2001 | სან ლორენსო | რასინგი |
| 2002 | რივერ პლეიტი | ინდეპენდიენტე |

**ონორიო ბუსტოს დომეცი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 19 | 13 | 4 | 2 | 48:19 | 43 |
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 12 | 4 | 3 | 32:15 | 40 |
| რივერ პლეიტი | 19 | 11 | 3 | 5 | 35:23 | 36 |
| ჩაკარიტა | 19 | 9 | 3 | 7 | 19:21 | 30 |
| ველესი | 19 | 8 | 4 | 7 | 23:19 | 28 |
| რასინგი | 19 | 8 | 4 | 7 | 28:28 | 28 |
| კოლონი | 19 | 7 | 7 | 5 | 26:26 | 28 |
| არსენალი | 19 | 7 | 6 | 6 | 29:25 | 27 |
| სან ლორენსო | 19 | 7 | 6 | 6 | 28:25 | 27 |
| ოლდ ბოიზი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:22 | 27 |
| ლანუსი | 19 | 6 | 8 | 5 | 21:24 | 26 |
| ბანფილდი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:17 | 25 |
| როსარიო | 19 | 7 | 4 | 8 | 36:34 | 25 |
| უნიონი | 19 | 6 | 5 | 8 | 26:28 | 23 |
| ტალერესი | 19 | 5 | 8 | 6 | 23:27 | 23 |
| ხიმნასია | 19 | 4 | 8 | 7 | 18:24 | 20 |
| ოლიმპო | 19 | 5 | 5 | 9 | 20:30 | 20 |
| ნუევა ჩიკაგო | 19 | 3 | 6 | 10 | 20:29 | 15 |
| ესტუდიანტესი | 19 | 4 | 3 | 12 | 21:36 | 15 |
| ურაკანი | 19 | 2 | 5 | 12 | 17:42 | 11 |

## სამხრეთული დარდუბალა

# ბრძოლა წესების დაცვით

### პერუ

ამ უქმეებზე მნიშვნელოვანი შეხვედრები უნდა გამართულიყო კლაუსურას ჩემპიონატში. ლიდერი „სპორტინგ კრისტალი“ „უნივერსიტარიოს“ ხვდებოდა, ხოლო მისი მდევარი „ალიანსა ლიმა“ — „სპორტ ბოიზს“. ამ მატჩებს შეეძლოთ, კლაუსურას ჩემპიონის ვინაობა განესაზღვრათ. თუ „კრისტალი“ მოიგებდა ან „ალიანსა“ დამარცხდებოდა, თასს „სპორტინგის“ კაპიტანი ჩაიბარებდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. პერუს დედაქალაქის მერმა „ალიანსა“ — „სპორტ ბოიზის“ შეხვედრა თამაშის დაწყების წინ, ფაქტობრივად ბოლო წუთს გადადო სტადიონზე უსაფრთხოების არასაკმარისი ზომების გამო, რითაც გულშემატკივრები დიდად გააწბილა და გაანაწყენა.

ამასთანვე გადაიდო მეორე გადამწყვეტი მატჩიც „კრისტალის“ მონაწილეობით. პერუელებს ასეთი ჭკვიანური წესი ჰქონიათ, თუ ტურის ერთი ცენტრალური შეხვედრა გადაიდო, მეორესაც მიაყოლებენ ხოლმე, ემანდ ორი მნიშვნელოვანი მატჩის ერთდროულად გამართვა ფეხბურთის ინტრიგას მატებს და „ალიანსამ“ „კრისტალის“ მატჩის შედეგი წინასწარ რომ იცოდეს, ვაითუ იმამაძალლოსო. ასე რომ, ჩემპიონის გამოვლენამდე კიდევ ერთი კვირა (შეიძლება მეტიც) დარჩა.

### ეკვადორი

ეკვადორის ჩემპიონატის ტურის მატჩებს არც ამჯერად ჩაუვლია აყალმაყალისა და დავიდარაბის გარეშე, ოღონდ ფანები არაფერ შუაში იყვნენ, მათ არც ტრიბუნებზე უჩხუბიათ და არც ფეხბურთელებს დასხმიან თავს, საერთოდაც გასაოცრად წესიერად იქცეოდნენ. უბრალოდ, იმ სეირის მაყურებელნი შეიქნენ, რაც მოედანზე დატრიალდა „აუკასისა“ და „ელ ნასიონალის“ მატჩის მსვლელობისას.

საქმე ისაა, რომ გაგულისებული ფეხბურთელები ერთმანეთს დაერივნენ და მანამდე არ დაშოშმინდნენ, სანამ საქმეში ადგილობრივი ხელკოხიანები არ ჩაერივნენ. ეტყობა, ბრძოლა წესების სრული დაცვით მიმდინარეობდა, რადგან მსაჯმა არც ერთი მოთამაშე არ გააძევა.

შეხვედრა საბოლოოდ 1:0 დასრულდა.

**ნინო ჭადაგიშვილი**

# მაინც უკუღმა

## ბრაზილია

### ნახევარფინალი პირველი მატჩები

**ფლუმინენსე 1:0 კორინთიანსი**

**სანტოსი 3:0 გრემიო**

**ბრაზილიაში** ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა.

რომარიოს ერთადერთი გოლის წყალობით „ფლუმინენსემ“ 1:0 მოუგო „კორინთიანსს“, „სანტოსმა“ კი 3:0 დაამარცხა პორტუ ალეგრის „გრემიო“.

„კორინთიანსი“ არცთუ უკმაყოფილო დარჩენილა გასვლითი მატჩის ამგვარი შედეგით, თუმცა, მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას, უფრო გაეხარდებოდა, რომ შეხვედრის 89-ე წუთზე კორინელ თავდამსხმელ გილერმეს პენალტი არ გაეფუჭებინა და ამით ანგარიში გაეთანაბრებინა.

„ფლუმ“ კი 77-ე წუთზე გაიტანა: მაგნუ ალვეშმა რომარიოს გაუჭრა ბურთი და ამანაც სეზონში მეთექვსმეტე გოლი შეაგდო.

ამასობაში კი ზეიმობდა „სანტოსი“, რომელიც 1984 წლის შემდეგ არ ყოფილა რაიმეს ჩემპიონი. „თევზების“ (ასე ეძახიან პელეს ყოფილ გუნდს) სასტარტო შემადგენლობის საშუალო ასაკი 22,8 წელია, მაგრამ ამ დღეს თავი გუნდის ყველაზე ასაკოვანმა ფეხბურთელმა, 27 წლის ალბერტომ გამოიჩინა. ალბერტომ ორი სხვადასხვა გემოვნების გოლი გაიტანა, რასაც ყრმა რობინიომ თამაშის მიწურულს მესამე მიაყოლა.

„გრემიო“ კი ადრიდანვე 10 კაცით თამაშობდა — რობინიოს დაწიხლვისთვის ანდერსონ პოლგა გააძევეს. „სანტოსის“ გულშემატკივრები კი ზეიმობდნენ, მაგრამ მაინც უკუღმა ეჭირათ გამამხნევებელი პლაკატები, რაც იმას ნიშნავს, რომ მკაცრად მოითხოვენ ჩემპიონობას და მანამდე ეჭირებათ პლაკატები ასე, სანამ საყვარელი გუნდი ტიტულს არ მოიგებს.

საპასუხო მატჩები კი დღეს გაიმართება

**დანიელუ დუ კულბატუ**



REUTERS

ფლუმინენსე — კორინთიანსი. რომარიომ მასპინძელთა გამარჯვებისა გაიტანა

# სარბიელი და კროკი წარმოგიდგენთ

## გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.30 | 002 | ნიურნბერგი-კოტბუსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 18.30 | 003 | მიუნხენი-ლევერკუზენი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 18.30 | 004 | არმინია-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.30 | 005 | შალკე-ვერდერი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 18.30 | 007 | დორტმუნდი-ლაუტერნი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 008 | დორტმუნდი-ლაუტერნი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 011 | ბურგჰაუზენი-ფიურტი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 012 | ლიუბეკი-მაინცი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 22.00 | 013 | დუისბურგი-სტ.პაული | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ბრაუნშვაიგი-უნიონი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 015 | ალენი-ვალდჰოფი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.00 | 016 | აინტრახტი-ობერჰაუზენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 18.00 | 017 | ალემანია-როიტლინგენი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 018 | ტრირი-კოლნი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | კარლსრუე-ფრაიბურგი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |

## გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 020 | ესენი-ქემნიცი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 021 | დრეზდენი-პადერბორნი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 17.00 | 022 | აუე-ოსნაბრიუკი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 17.00 | 023 | ჰამბურგი(შ)-ბაბელსბერგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.00 | 024 | კილი-ვერდერი(შ) | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 17.00 | 025 | ლევერკუზენი(შ)-კიოლნი(შ) | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 026 | დორტმუნდი(შ)-ურდინგენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 027 | დორტმუნდი(შ)-ურდინგენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.00 | 028 | ფერლი-დინამო | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 17.00 | 029 | ვატენშაიდი-მიუნსტერი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 030 | ვატენშაიდი-მიუნსტერი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |

## გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 031 | ჰოფენჰაიმი-უნტერჰახინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 22.00 | 032 | ოფენბახი-ზიგენი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 033 | ბაიერნი(შ)-აინტრახტი(შ) | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.00 | 034 | ლაუტერნი(შ)-ელვერსბერგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.00 | 035 | ერფურტი-ფულენდორფი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 036 | ნოინკირხენი-აუგსბურგი | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 17.30 | 037 | რეგენსბურგი-კიკერსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 038 | რეგენსბურგი-კიკერსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.30 | 039 | ვეენი-დარმშტადტი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 17.30 | 040 | აალენი-ზაარბრიუკენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.15 | 041 | მანჩესტერი-არსენალი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 19.00 | 042 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 043 | ბოლტონი-ბლეკბერნი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 044 | ჩარლტონი-ლივერპული | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 19.00 | 045 | ევერტონი-ჩელსი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 046 | ფულემი-ლიდსი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 048 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.05 | 049 | ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 050 | სანდერლენდი-სიტი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |

## ინგლისი. I დივიზიონი. XXII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 051 | რედინგი-პორტსმუთი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 052 | ბრედფორდი-ჯილინგემი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 053 | ბარნსლი-ნოტინგემი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 054 | კრისტალ პალასი-მილუოლი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 055 | დერბი-უოტფორდი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 056 | იფსვიჩი-როტერჰემი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 057 | ლესტერი-შეფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 058 | პრესტონი-უიმბლდონი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 059 | უენსდი-ბრაიტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 060 | სტოკი-ქოვენთრი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 061 | უოლსოლი-გრიმსბი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 062 | ვულვერჰემპტონი-ნორვიჩი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |

## იტალია. სერია "A". XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 065 | ლაციო-ინტერი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.30 | 066 | მილანი-რომა | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 067 | ბრეშა-იუვენტუსი | 4,7 | 3,1 | 1,7 | 1,86 | 1,24 | 1,09 |
| 18.00 | 068 | მოდენა-კომო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 18.00 | 069 | პარმა-რეჯინა | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 070 | პარმა-რეჯინა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 071 | პერუჯა-პიაჩენცა | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 18.00 | 072 | ტორინო-ატალანტა | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 18.00 | 073 | უდინეზე-ემპოლი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 23.30 | 074 | კიევო-ბოლონია | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |

## იტალია. სერია "B". XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 075 | კოზენცა-მესინა | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 076 | ანკონა-კალიარი | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 077 | კატანია-ბარი | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 18.00 | 078 | ლეჩე-ასკოლი | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 18.00 | 079 | პალერმო-ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 18.00 | 080 | სალერნიტანა-ვერონა | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 18.00 | 081 | სამპდორია-ტერნანა | 1,6 | 3,0 | 6,5 | 1,04 | 1,28 | 2,05 |
| 18.00 | 082 | სიენა-ვენეცია | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 18.00 | 083 | ვიჩენცა-ლივორნო | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 084 | ტრიესტინა-ნაპოლი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 107 | რაიო-ბარსელონა | 3,4 | 3,1 | 2,05 | 1,62 | 1,27 | 1,23 |
| 21.00 | 108 | უელვა-დეპორტივო | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 23.00 | 109 | მალიორკა-რეალი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 00.30 | 110 | ვალენსია-რასინგი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| | 111 | ვალენსია-რასინგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 00.30 | 112 | სევილია-სოსიედადი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 113 | ბილბაო-ოსასუნა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 20.00 | 114 | სელტა-ალავესი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 115 | ესპანიოლი-ბეტისი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 20.00 | 116 | მალაგა-ვილიარეალი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.30 | 117 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |

## ესპანეთი. II დივიზიონი. XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 118 | ეიბარი-ტერასა | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 21.30 | 119 | ოვიედო-სერესი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 21.30 | 120 | ტენერიფე-ალბასეტე | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 14.30 | 121 | ხეტაფე-ელჩე | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 15.00 | 122 | მურსია-ეხიდო | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 20.00 | 123 | კომპოსტელა-სპორტინგი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 124 | ლევანტე-სალამანკა | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 20.00 | 125 | სარაგოსა-ნუმანსია | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 20.00 | 126 | ფეროლი-ლეგანესი | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 20.00 | 127 | კორდობა-ლას პალმასი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 20.00 | 128 | ალმერია-ბადახოსი | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 130 | ლილი-ოსერი | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 21.30 | 131 | პსჟ-ლიონი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 23.30 | 132 | ბასტია-სედანი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 23.30 | 133 | გენგამი-ნანტი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.30 | 134 | ლე აური-ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,6 | 1,34 | 1,27 | 1,37 |
| 23.30 | 135 | მარსელი-სოშო | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |
| 23.30 | 136 | მონპელიე-მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.30 | 137 | სტრასბური-რენი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.30 | 138 | ტრუა-ლანსი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი. XVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 139 | კანი-ბოვე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.30 | 140 | შატორუ-ნიორი | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 23.30 | 141 | კლერმონი-ლე მანი | 2,6 | 2,8 | 2,7 | 1,34 | 1,32 | 1,37 |
| 23.30 | 142 | გრენობლი-მეცი | 2,3 | 2,8 | 3,2 | 1,26 | 1,33 | 1,49 |
| 23.30 | 143 | გენიონი-ტულუზი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,39 |
| 23.30 | 144 | ლავალი-სტ.ეტიენი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.30 | 145 | ნანსი-ვასკეალი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.30 | 146 | რეიმსი-ისტრი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 23.30 | 147 | ვალანსი-კრეტეი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 148 | ამიენი-ლორიანი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 149 | ვალანსი-ვასკეალი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 150 | ბენფიკა-ჟილ ვისენტე | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 151 | ბენფიკა-ჟილ ვისენტე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 02.00 | 152 | სანტა კლარა-მარიტიმუ | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 153 | ბელენენსეში-ბეირა მარი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 154 | სპორტინგი-ბენფიკა | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 155 | ვარზიმი-ნასიონალი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 156 | მორეირენსე-აკადემიკა | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 157 | ბრაგა-ლეირია | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 20.00 | 158 | ფეირეირა-სეტუბალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 22.00 | 159 | ბოავიშტა-მარიტიმუ | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 23.00 | 160 | სანტა კლარა-პორტუ | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,84 | 1,21 | 1,12 |
| | | **9 დეკემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 161 | ჟილ ვისენტე-გიმარაეში | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 162 | სალგეიროში-ოვარენსე | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 19.00 | 163 | ამადორა-რიუ ავე | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 20.00 | 164 | მადეირა-პორტიმონენსე | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 165 | ფარენსე-კოვილია | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 19.00 | 166 | ლამაში-მარკუ | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 167 | შავეში-ავეში | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 19.30 | 168 | ნავალი-ალვერკა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 169 | მაია-ლეცა | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 20.00 | 170 | ფელგეირაში-პენაფიელი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 171 | როზენდალი-ექსელსიორი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 172 | ტილბურგი-ალკმაარი | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| 22.30 | 173 | ჰერენვენი-ფეიენოორდი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 22.30 | 174 | გრააფსხაპი-აიაქსი | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.00 | 175 | უტრეხტი-პსვ | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 17.30 | 176 | ნაიმეგენი-ვიტესი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 17.30 | 177 | ტვენტე-გრონინგენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.30 | 178 | ვოლენდამი-როდა | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 191 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 192 | ანდერლეხტი-ლომელი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 193 | ანდერლეხტი-ლომელი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | 1,04 | 1,04 | 1,75 |
| 23.30 | 194 | ბრიუგე-ლოკერენი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 195 | ბრიუგე-ლოკერენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 196 | ანტვერპენი-ვესტერლო | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 23.00 | 197 | მუსკრონი-ბეველენი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 198 | მუსკრონი-ბეველენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 23.00 | 199 | შარლერუა-ლევენი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 200 | გენტი-მეხელენი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 201 | გენტი-მეხელენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 202 | ლიერსი-სტ.ტრუიდენი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 203 | მონსი-ბეერსხოტი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.00 | 204 | გენკი-სტანდარდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **თურქეთი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 228 | ისთანბული-ელაზიგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 15.30 | 229 | ქოჯაელი-ალთაი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 230 | ტრაბზონი-დენიზლი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 21.00 | 231 | დიარბაქირი-ფენერბაჩე | 4,7 | 3,3 | 1,65 | 1,93 | 1,22 | 1,1 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 232 | ანკარაგუჯუ-განზიანთეფი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 15.30 | 233 | ბურსა-ადანა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 15.30 | 234 | გოზთეფე-მალათია | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 15.30 | 235 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 21.00 | 236 | გალათასარაი-ბეშიქთაში | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 237 | აბერდინი-კილმარნოკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 238 | დანდი-პარტიკი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 23.45 | 239 | დანფერმლაინი-დანდი იუნ. | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 23.45 | 240 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 8,0 | 3,8 | 1,35 | 2,57 | 1,15 | 1 |
| 23.45 | 241 | მაზერველი-ჰარტსი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 23.45 | 242 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 243 | რეინჯერსი-ლივინგსტონი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| | | **ავსტრია. გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 261 | ზალცბურგი-შტურმი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **შვეიცარია. "A" ჯგუფი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 262 | ვილი-ბაზელი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 263 | აარაუ-თუნი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 17.30 | 264 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 265 | გრასჰოპერი-სტ.გალენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 19.15 | 266 | დელემონი-ციურიხი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.15 | 267 | ქსამაქსი-ლუცერნი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.15 | 268 | სერვეტი-იანგ ბოიზი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **გერმანია. თასი. 1/8 ფინალი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 279 | ალენი-ვერდერი | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1,07 |
| 22.00 | 280 | ნიურნბერგი-კიოლნი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 22.00 | 281 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 23.30 | 282 | ბაიერნი-შალკე | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **ინგლისი. თასი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 283 | მარგეიტი-კარდიფი | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 18.00 | 284 | დარლინგტონი-სტივენიჯი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 285 | სკანთორპი-კარლაილი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 286 | ბლეკპული-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 287 | ქრიუ-მენსფილდი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 288 | ექსეტერი-რაშდენი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 289 | საუთენდი-ბორნმუთი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 290 | ორიენტი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 292 | კემბრიჯი-ნორთჰემპტონი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 293 | უიგანი-ლუტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 294 | სტოკპორტი-პლიმუთი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 295 | შრუსბერი-ბაროუ | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 296 | როვერსი-როჩდეილი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 297 | ოლდემი-ჩელტენჰემი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 21.35 | 298 | მაკლსფილდი-ვოქსჰოლი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 299 | ჰარტლპული-ბრისტოლი | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |
| 17.00 | 300 | ოქსფორდი-სუინდონი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი. IV ეტაპი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 304 | უიგანი-ფულემი | 3,4 | 3,3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 305 | ჩელსი-ევერტონი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 23.45 | 306 | ასტონ ვილა-პრესტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 24.00 | 307 | ბლეკბერნი-როტერჰემი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 24.00 | 308 | ლივერპული-იპსვიჩი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | | **იტალია. თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 311 | ლაციო-უდინეზე | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 21.15 | 312 | ტრიესტინა-რომა | 3,5 | 3,0 | 2,05 | 1,61 | 1,29 | 1,21 |
| 24.00 | 313 | ბარი-ინტერი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 314 | პიაჩენცა-კიევო | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.15 | 315 | ვენეცია-ბოლონია | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 24.00 | 316 | რეჯინა-იუვენტუსი | 4,4 | 3,1 | 1,75 | 1,81 | 1,25 | 1,11 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/16 ფინალი.** | | | | | | |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 317 | მეცი-ლანსი | 4,0 | 3,0 | 1,9 | 1,71 | 1,28 | 1,16 |
| 21.00 | 318 | კრეტეი-ნიცა | 3,8 | 2,9 | 2,0 | 1,64 | 1,31 | 1,18 |
| 21.00 | 319 | გეინიონი-რენი | 3,0 | 2,9 | 2,35 | 1,47 | 1,31 | 1,29 |
| 21.00 | 320 | გენგამი-სტრასბური | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 21.00 | 321 | ისტრი-ლილი | 4,2 | 3,0 | 1;85 | 1,75 | 1,28 | 1,14 |
| 21.00 | 322 | ლე მანი-გრენობლი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 21.00 | 323 | მარტიგი-მეცი | 3,4 | 3,0 | 2,1 | 1,59 | 1,29 | 1,23 |
| 21.00 | 324 | მონპელიე-ბორდო | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 21.00 | 325 | ნიმი-სედანი | 3,6 | 3,1 | 1,9 | 1,66 | 1,24 | 1,17 |
| 21.00 | 326 | სოშო-აიაჩო | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 327 | მარსელი-ტრუა | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.45 | 328 | ლიონი-ბასტია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **8 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 329 | მონაკო-ოსერი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 18.00 | 330 | სტ-ეტიენი-ლე ავრი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.45 | 331 | პსჟ-ნანტი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| | | **ჰოლანდია. თასი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 337 | აიაქსი 2-ტილბურგი | 4,7 | 3,5 | 1,6 | 2 | 1,19 | 1,09 |
| 22.30 | 338 | იურე-გრონინგენი | 5,6 | 4,0 | 1,45 | 2,33 | 1,15 | 1,06 |
| 23.00 | 339 | ზვოლე-გრააფსხაპი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 23.00 | 340 | დენ ჰააგი-ვოლენდამი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 23.30 | 341 | როდა-ნაიმეგენი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **საბერძნეთი. თასი. III ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 342 | ველვე-პანილიაკოსი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 21.00 | 343 | პანაჰაიკი-ოლიმპიაკოსი | 7,5 | 4,7 | 1,3 | 2,88 | 1,1 | 1,01 |
| | | **თურქეთი. თასი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 348 | ელაზიგი-ბეშიქთაში | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1,07 |
| 15.00 | 349 | ოზგური-გალათასარაი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 15.00 | 350 | სამსუნი-დარდანელი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 15.00 | 351 | ანკარა-ბურსა | 2,8 | 3,3 | 2,25 | 1,51 | 1,24 | 1,33 |
| 15.00 | 352 | ანთალია-დენიზლი | 3,8 | 3,5 | 1,75 | 1,82 | 1,19 | 1,16 |
| 15.00 | 353 | დიარბაქირი-განზიოსმანფაშა | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 15.00 | 354 | რიზე-განზიანთეფი | 3,8 | 3,4 | 1,75 | 1,79 | 1,19 | 1,15 |
| 15.00 | 355 | გენჩლერბირლიგი-ერზურუმი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 15.00 | 356 | გოზთეფე-დუგანი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 15.00 | 357 | ისთანბული-სოკე | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 15.00 | 358 | საკარია-მალათია | 3,5 | 3,4 | 1,85 | 1,72 | 1,21 | 1,19 |
| | | **შვეიცარია. თასი. 1/16 ფინალი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 367 | შოლეურნი-სიონი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 609 | სპარტაკი-ავანგარდი | 3,8 | 5,3 | 1,4 | 2,21 | 1,02 | 1,1 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. ფინეთი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 699 | ჰელსინკი-პელიკანსი | 1,55 | 4,2 | 3,5 | 1,13 | 1,07 | 1,9 |
| 20.30 | 700 | ლუკო-ილვესი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| | | **ჰოკეი. NHL.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 722 | ბუფალო-ანაჰაიმი | 2,25 | 3,6 | 2,3 | 1,38 | 1,13 | 1,4 |
| 04.30 | 723 | ნიუ ჯერსი-ვანკუვერი | 2,1 | 3,4 | 2,6 | 1,29 | 1,16 | 1,47 |
| 04.30 | 724 | ფლორიდა-კაროლინა | 2,25 | 3,6 | 2,3 | 1,38 | 1,13 | 1,4 |
| 05.30 | 725 | ჩიკაგო-ოტავა | 2,25 | 3,6 | 2,3 | 1,38 | 1,13 | 1,4 |
| 05.30 | 726 | დალასი-მონრეალი | 1,6 | 3,6 | 3,6 | 1,1 | 1,1 | 1,79 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 786 | ცსკა-შლიონსკი | 1,05 | 12,0 | 6,0 | | | |
| 23.30 | 787 | სკავოლინი-ციბონა | 1,4 | 12,0 | 2,4 | | | |
| 23.30 | 788 | პო ორტეზი-ეფესი | 1,55 | 12,0 | 2,1 | | | |
| 23.30 | 789 | უნიკახა-ტაუ | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |
| 23.30 | 790 | ოლიმპია-პანათინაიკოსი | 1,75 | 12,0 | 1,85 | | | |
| 23.30 | 791 | ბუდუჩნოსტი-სიენა | 2,0 | 12,0 | 1,5 | | | |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 792 | ალბა-ბენეტონი | 2,4 | 12,0 | 1,4 | | | |
| 21.30 | 793 | ულქერი-პარტიზანი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 22.30 | 794 | ჟალგირისი-მაკაბი | 2,5 | 12,0 | 1,3 | | | |
| 23.00 | 795 | ოლიმპიაკოსი-კინდერი | 1,7 | 12,0 | 1,9 | | | |
| 23.30 | 796 | ვილეურბანი-რეალი | 1,75 | 12,0 | 1,85 | | | |
| 23.30 | 797 | ბარსელონა-ალბა | 1,1 | 12,0 | 4,0 | | | |
| | | **კალათბურთი. ულების თასი.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 808 | ურალი-ხუვენტუდი | 1,7 | 12,0 | 1,9 | | | |
| 23.00 | 809 | სკაილაინერსი-ჟელეზნიკი | 1,85 | 12,0 | 1,75 | | | |
| | | **კალათბურთი. NBA.** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 817 | ფილადელფია-ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 | | | |
| 04.00 | 818 | კლივლენდი-ჩიკაგო | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |
| 04.30 | 819 | დეტროიტი-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 04.30 | 820 | ნიუ იორკი-ორლანდო | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 05.30 | 821 | ნიუ ორლეანი-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 | | | |
| 06.00 | 822 | იუტა-ლეიკერსი | 1,35 | 12,0 | 2,3 | | | |
| 06.00 | 823 | ფინიქსი-მემფისი | 1,1 | 12,0 | 4,0 | | | |
| 06.00 | 824 | დენვერი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,25 | | | |
| 07.00 | 825 | პორტლენდი-დალასი | 2,2 | 12,0 | 1,5 | | | |
| 07.00 | 826 | სიეტლი-ინდიანა | 1,9 | 12,0 | 1,7 | | | |
| 07.30 | 827 | კლიპერსი-მაიამი | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი

**კროკოში უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**


## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.12 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XVI ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 07.12 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XVII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 07.12 23.30 | 2603 | იტალია "A" (XIII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 07.12 21.00 | 2604 | ესპანეთი Iლ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 03.12 23.45 | 2605 | საფრანგეთი Iლ. (XVIII ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 06.12 01.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (XIII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 04.12 23.30 | 2607 | ბელგია Iლ. (XV ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 07.12 15.30 | 2608 | თურქეთი. (XVI ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

დალასელ ადრიან გრიფინს ვინს კარტერი მიადგა

# სტეფანიას ზონური გაგება გამოადგა

2 დეკემბერი

**ფინიქსი 90:100 მაიამი**

ძირითადი დრო 79:79

**ფინიქსი:** მარბერი (18), ჰარდევეი (8), მარიონი (30), სტუდემაიერი (20), უილიამსი (8); ოუთლოუ (4), ჟოსკული (2), ჯონსონი, ჯეკობსენი, ლანი, ფორდი

**მაიამი:** ბესტი (16), ჯონსი (21), კ. ბატლერი (20), ალენი, გრანტი (17 ქულა, 17 მოხსნა); ჯეიმსი (12), პარსი (7), ელისი (5), სტეფანია (20 წუთი, 2 ქულა, 7 მოხსნა, 3 დაფარება, 1 პასი)

ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი ჰითმა“ კარგად დაიწყო წყნაროკეანური ტურნე. ამ დივიზიონის ერთი წარმომადგენელი დამარცხებულია, ახლა „ჰითს“ შინ დაბრუნებამდე კიდევ სამი შეხვედრა ელის სტუმრად „კლიპერსთან“, „პორტლენდთან“ და „სიეტლთან“.

„ფინიქსთან“ გამოჩნდა „მაიამის“ ქართველი ცენტრი ვოვა სტეფანია. ჩვენებურმა ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა წინა შეხვედრა, ახლა კი მთელი 20 წუთით ითამაშა, თან შეუცვლელად, მესამე მეოთხედის ბოლო წუთებიდან ოვერტაიმის უკანასკნელ წამებამდე და თავისი მოკრძალებული წვლილიც შეიტანა მისიანების მეხუთე საამსეზონო გამარჯვებაში. ჩანს, მისი ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა.

სტეფანიას მოედანზე შესვლისას „მაიამი“ 55:63 აგებდა. მალე „ფინიქსმა“ 13 ქულამდე გაზარდა სხვაობა. მასპინძლები შესანიშნავად ბურთაობდნენ, უკანახაზელები — მარბერი და ჰარდევეი პასებს არ უგვიანებდნენ მაღლებს, შონ მარიონსა და ამარე სტუდემაიერს და ესენიც თავდაუზოგავად არბევდნენ სტუმრებს. მარიონმაცა და სტუდემაიერმაც სასეზონო რეკორდები ჩაიწერეს.

სტეფანია კარგად ჩაერთო თამაშში და მისგან შეცვლილი მალიქ ალენისგან დაცვაში დატოვებული ბზარები ამოლესა. „მაიამის“ მწვრთნელმა პატ რაილიმაც დროულად შეცვალა თავისი გუნდის დაცვის სქემა და სტუმრებსაც ეშველათ. ისინი ზონურ დაცვაში ჩადგნენ და მასპინძელთა შემტევებს საკუთარი ნახევრიდან იქით შეუტიეს: „ზონურმა დაცვამ გვიშველა. ცხოვრებაში პირველად გამოვიყენე კლასიკური ზონა. მგონი, მეტოქესაც გაუკვირდა, ზონიდან რომ ვეთამაშეთ. თქვენც ხედავთ, ამან გაამართლა. ჩვენ კიდევ ვიმუშავებთ ამ სქემაზე და შევეცდებით, დავხვეწოთ“ — ამბობდა ნამატჩევს პატ რაილი. პატი საერთოდ დაცვის მქადაგებელ მწვრთნელად ითვლება. ეგაა, ყოველთვის ამერიკულ ვარიანტს, ერთი ერთზე დაცვის პრინციპით ათამაშებდა შეგირდებს. სიმართლე ითქვას და, ნბა-ში შარშანდლამდე არც იყო დაშვებული ზონა.

ვოვა სტეფანიას ევროპული სკოლა აქვს გავლილი და ზონის ავან-ჩავანი ვინძლო ამერიკელებზე უკეთაც ესმოდეს. ის სულ იოლად ჩაჯდა რაილის მინი-ექსპერიმენტში და სტუმართა დაცვაში ცენტრალური ადგილი დაიკავა. მასპინძლებმა გვიან შენიშნეს თეთრი 50-ნომრა გოლიათი „მაიამის“ ფარქვეშეთში და სანამ მოიფიქრებდნენ, მისი გრძელი ხელებისთვის თავი როგორ აერიდებინათ, სტეფანიამ მარტო ბოლო მეოთხედში სამჯერ დაუფარა მათ.

„ფინიქსი“ აირია, რამდენიმე უხეირო შეტევამ რწმენის საფუძველი გამოაცალა, მაიამელებს კი ხალისი მიეცათ და ძალუმად შეუტიეს. განსაკუთრებით „ჰითის“ 180-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი ტრევის ბესტი დაუდევრობდა. მან თამაშში პირველი ცხრა სროლიდან ყველა ააცილა, მაგრამ როცა საჭირო იყო, მაშინ გაისწორა სამიზნე. ბესტმა ჩააგდო ანგარიშის გამათანაბრებელი ორიანი, რითაც შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. ბესტმა იქაც არ მოასვენა ფინიქსელები. დაიწყო თუ არა ხუთწუთეული, სამქულიანი ჩააგდო, ამას ორიანიც მიაყოლა და „მაიამი“ 84:79 დააწინაურა. მოგვიანებით ბესტმა კიდევ ერთი სამიანი უთავაზა მასპინძლებს. ერთი სიტყვით, ამ მომცრო ბიჭმა ლამის მარტომ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

„ფინიქსი“ ვერც ვერ მოვიდა გონს. მასპინძლები დროის მოგების მიზნით ერთთავად ჯარიმდებოდნენ, მაგრამ ამით საკუთარ თავს კიდევ უფრო ღრმა ორმოში აგდებდნენ. სტუმარმა ბრაიან გრანტმა ექვსი ცდიდან ექვსი საჯარიმო ჩაუგდო მათ. სულ „მაიამიმ“ ოვერტაიმში 21 ქულა გაჩარხა და ამ სეზონში პირველად უწია 100-ქულიან ზღვარს.

**იუტა 109:91 ინდიანა**

**იუტა:** სტოქტონი (22 ქულა, 10 პასი), მელოუნი (21), ჰარპრინგი (15)

**ინდიანა:** ონილი (25), ჰარინგტონი (17)

**ორლანდო 97:102 ბოსტონი**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (25), ჰილი (22 ქულა, 13 მოხსნა), მილერი (18)

**ბოსტონი:** პირსი (27 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), უილიამსი (21), უოლკერი (19)

**დალასი 113:102 ტორონტო**

**დალასი:** ნეში (25), ნოვიცკი (23), ვან ექსელი (17)

**ტორონტო:** ე. უილიამსი (27), პეტერსონი (24), დევისი (18), კარტერი (17)

**ნიუ იორკი 125:93 კლივლენდი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (29), ტომასი (22), სპრიუელი (20 ქულა, 11 პასი)

**კლივლენდი:** ვაგნერი (29 ქულა, 11 პასი), ჯონსი (19 ქულა, 11 მოხსნა), ბუზერი (18)

ძველი ამბავია და ყველამ კარგად ვიცით: დაბერდნენ იუტელი დოსტები — ჯონ სტოქტონი და კარლ მელოუნი. ლამისაა, თავიანთი თანაცხოვრების მეორე ათეული წელი ჩამოათავონ და ვერჩემპიონობასაც შეეგუვნენ. ხშირად აგებენ და დაკარგულ ჯან-ღონესაც ძნელად იბრუნებენ, თუმც ეს ხომ ბუნების კანონზომიერებაა — სტოქტონი და მელოუნი ისე არ წაიქცევიან, წელი ველარ აითრიონ და ურჩ ახალთაობელებს უფროსებისადმი რიდის გრძნობა მოუშალონ.

„იუტამ“ ცუდად დაიწყო სეზონი და აუტსაიდერებში მოექცა, თუმც თანდათან დაძლია მინი-კრიზისი და აგერ, ბოლო რვა მცდელობიდან მეშვიდე მეტოქეს მოახრევინა ქედი. მეტოქედ კი „ჯაზს“ სისხლსავსე „ინდიანა“ ჰყავდა, აღმოსავლეთის უცილო ლიდერი და „დალასისთვის“ ერთადერთი მარცხის შემამთხვეველი გუნდი. ბებრები არ დაერიდნენ სტუმართა მოჭარბებულ ენერგიას, პირიქით, აგრესიულად მიეძალნენ და დამაჯერებლად იმარჯვეს კიდეც.

სტოქტონმა ახალგაზრდობა გაიხსენა და 22 ქულა და 10 პასი ჭაბუკური სიხალისით გაილო. ზორბა მელოუნს 21 ქულა მოუგროვდა. მთავარი კი ისაა, რომ ამ ორმა და მათმა მხარდამჭერმა ბიჭებმა ინდიანელ ახალგაზრდობასთან ერთად მოხუცი მეტოქე რეჯი მილერიც დაჯაბნეს.

ორიოდ სიტყვა ამ კაცზე — მილერი კვლავ ინდიანელია და თუმც ჯერმენ ონილის, რონ ანტესტისა და ალ ჰარინგტონისთანა ბიჭების გარემოცვაში გუნდის რქებაგრეხილი ყოჩი ვეღარაა, მაგრამ 37 წლისაც მეტოქეთათვის ხიფათის მთესველია. ეს საზოგადოდ, ამ მატჩში კი მან 26 წუთი ითამაშა, ქულა რაა, ისიც ვერ ჩააგდო და 1989 წლის შემდეგ პირველად დატოვა მოედანი ხახამშრალმა.

ისე კი, ამ ცხოვრებაში ხომ ყველაფერი შედარებითი, პირობითი და წარმავალია და სამართლიანობის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ ნაქებმა მელოუნმა სულ სამი კვირის წინ 18-სეზონიან კარიერაში პირველი უქულო მატჩი ჩაატარა.

შინ დიდი მღელვარების გარეშე მოიგო „დალას მავერიკსმა“, ვისაც „ტორონტო“ უპირებდა მიმდინარე სეზონში მეორე მარცხის „ჩუქებას“. ეს თამაშებია, „ტორონტოს“ დაუბრუნდა მჯერინავი ლიდერი ვინს კარტერი, მაგრამ სანამ ეს საოცრება ფრთებს გაშლის, ერთადერთი კანადური გუნდის წაგებათა ოდენობა განუხრელად იზრდება.

„ტორონტო“ ჯერჯერობით ცხრილის ქვედა საფეხურებზე ჩამომჯდარა, თუმც შეუძლია, თავი ინუგეშოს იმით, რომ ნბა-ში მასზე უარესებიც არსებობენ, მაგალითად, „კლივლენდი“, რომელმაც ზედიზედ მე-15 თამაში წააგო.

**ირაკლი ფირცხალავი**

## FIBA-Europe CHALLENGE-CUP

# რით დასრულდება ოდესა? დინამოს გამარჯვება უნდა

**დღეს** თბილისის „დინამო“ საპასუხო საჩელენჯქაფო მატჩს გამართავს უკრაინულ „ხიმიკთან“. რადგან პროვინციული იუჟნის დარბაზი ევროპულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, „ხიმიკიც“ ჩვენს ვიცე-ჩემპიონს ოდესაში უმასპინძლებს.

„დინამოს“ ჯგუფიდან გამსვლელთა ვინაობა თითქმის ცნობილია. თბილისელებსა და „ხიმიკს“ მომდევნო ეტაპზე გასვლაში რომ შეეცილოს, აზერბაიჯანულმა ნტდ-მ თბილისში ქართულ კლუბს ან 34 ქულაზე მეტით უნდა მოუგოს, ანაც იუჟნელები შინ მინიმუმ 73 ქულით დაამარცხონ, რაც ეჭვი არაა, არ მოხდება. ასე რომ, ოდესურ მატჩს ოდენ ჯგუფის გამარჯვებულის გარკვევა შეუძლია. თბილისელებს ჯგუფში პირველობისთვის სულ ცოტა, 6-ქულიანი გამარჯვება სჭირდებათ, რაც სავარაუდოდ მეოთხედფინალში შედარებით სუსტ მეტოქეს არგუნებს.

ქართველები ოდესაში გუშინ ჩავიდნენ, ჩვენ კი „დინამოს“ პრეზიდენტ ბაჩო სხიერელს დავუკავშირდით, რომელმაც იქაური ამბები გვამცნო.

— ნორმალურად ვიმგზავრეთ, თბილისიდან კიევში ჩავფრინდით და ოდესამდე ავტობუსით 500 კილომეტრი გამოვიარეთ. ბიჭები გზამ ცოტა მოქანცა, მაგრამ ძალების აღსადგენად დრო საკმარისად აქვთ.

დღეს უკვე ივარჯიშეს. ვფიქრობ, ხვალინდელი მატჩისთვის მზად იქნებიან. ახლა ფიბა-ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩის სანახავად მივდივართ, „მკ ოდესა“ პოლონურ „ანვილს“ ეთამაშება.

ბიჭები მშვენიერ ხასიათზე არიან და ხვალინდელ მატჩშიც მოგებას ვგეგმავთ. რთული კი იქნება „ხიმიკის“ ოდესაში დამარცხება, მათ ხომ თბილისში მოვიგეს, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა...

საქართველოს ჩემპიონატის მატჩებისგან განსხვავებით, „ჩელენჯ ქაფზე“ 12-ის ნაცვლად 10 კალათბურთელია განაცხადში. თბილისელთა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა კი ძირითადი შემადგენლობიდან გიგი ნაცვლიშვილზე და ზურაბ ჩუბინიძეზე თქვა უარი, დინამოელებს უკრაინაში სამარქაფოდ ლიტველი ტომას ვენსკუნასი გაჰყავთ.

**ირაკლი ბერტაია**



დინამოელ რევაზ ჩხეიძისთვის ოდესაში თამაში უცხო არ იქნება



## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

### ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

**A ჯგუფი:** პანელინიოსი (საბერძნეთი) — ფოტექსი (უნგრეთი) 16:17; ვისლა (პოლონეთი) — მაგდებურგი (გერმანია) 29:31

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოტექსი | 4 | 0 | 0 | 97:76 | 8 |
| მაგდებურგი | 3 | 0 | 1 | 122:109 | 6 |
| პანელინიოსი | 1 | 0 | 3 | 76:94 | 2 |
| ვისლა | 0 | 0 | 4 | 115:131 | 0 |

**B ჯგუფი:** შახტარი (უკრაინა) — კოლდინგი (დანია) 22:30; პალამანო (იტალია) — პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 26:32

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 3 | 0 | 1 | 114:91 | 6 |
| კოლდინგი | 3 | 0 | 1 | 118:98 | 6 |
| პალამანო | 1 | 1 | 2 | 105:118 | 3 |
| შახტარი | 0 | 1 | 3 | 87:117 | 1 |

**C ჯგუფი:** კარვინა (ჩეხეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) 23:26; ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) — პრული (სლოვენია) 33:22

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 4 | 0 | 0 | 117:107 | 8 |
| პრული | 2 | 0 | 2 | 116:118 | 4 |
| მედვედი | 1 | 0 | 3 | 118:122 | 2 |
| კარვინა | 1 | 0 | 3 | 117:121 | 2 |

**D ჯგუფი:** ფიბრექსნეილონი (რუმინეთი) — ზაგრები (ხორვატია) 28:23; ვარდარი (მაკედონია) — კილი (გერმანია) 27:26

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კილი | 3 | 0 | 1 | 114:94 | 6 |
| ფიბრექსი | 2 | 1 | 1 | 111:99 | 5 |
| ზაგრები | 1 | 1 | 2 | 98:105 | 3 |
| ვარდარი | 1 | 0 | 3 | 101:126 | 2 |

**„ფოტექსს“**, „მონპელიესა“ და „კილს“, რომელთაც პირველ წრეში ქულაც კი არ დაუკარგავთ, ზედიზედ მეოთხედ მოგების შემთხვევაში ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე შეეძლოთ, გაენაღდებინათ მეოთხედფინალის საგზური.

უნგრეთის და საფრანგეთის ჩემპიონებმა ამ ამოცანას თავი გაართვეს, თუმც მეტოქეთა სარბიელზე გამარჯვება საკმაოდ გაუჭირდათ. აღსანიშნავია, რომ „ფოტექსს“ ლიგის 16 კლუბს შორის ყველაზე საიმედო დაცვა ჰყავს, რომელიც თამაშში საშუალოდ 19 გოლს უშვებს.

გათამაშების ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა „კილმა“ კი მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში სენსაციური მარცხი იგემა მანამდე უქულო „ვარდართან“ და „D“ ჯგუფში, ისევე როგორც „B“-ში, სატურნირო ვითარება მეტად დაიძაბა.

მორიგი ტური გაიმართა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც. აზერბაიჯანის ნაკრებმა ორივე შეხვედრა წააგო სლოვაკებთან — 24:28 და 23:31 და ჯგუფიდან გასვლის შანსიც გადაეწურა. თუმც ჩვენ უფრო სხვა ამბავი გვაინტერესებს: აზერბაიჯანელთა შორის 18 (10+8) გოლით კვლავ ყველაზე შედეგიანი იყო ნინო წივწივაძე, რომელიც მეორე წელია, ამ ქვეყნის ღირსებას იცავს.

# როი ემერსონი გაფრთხილებთ: ნუ მოიყვანთ ჩოგბურთში ჯანიან იდიოტებს!

## ეი, მილიონერო ლაწირაკებო! იცით, ვინ მოგიტანათ ეს თამაში?

*სალეგენდო ავსტრალიელ მეჩოგნეს, 12-გზის მესლემტიტულე როი ემერსონს ამ რამდენიმე ხნის წინ 66 წელი შეუსრულდა. ამ ამბავთან დაკავშირებით ჩვენი გალმანატოელი კოლეგები მას ლიანგურად გაესაუბრნენ. საუბარი საინტერესო გამოდგა და მისმა წაკითხვამ ვინძლო არც ჩვენებურ მკითხველს ავნოს. ეგ მით უფრო, რომ — და ახლა საქმეში ოდნავ ჩაუხედავთ მივმართავ — ეს კაცი ისე-რა ვინმე არ გეგონოთ: მასზე მეტი საერთეულო სლემტიტული მხოლოდ პიტ სამპრასს (14) მოუნაგრავს, საერთეულო და საწყვილოსნო ტიტულთა შეჯამებისას კი ყველა დროის მესლემტიტულეთა ჩამონათვალში მესამე ადგილს იკავებს. მის 28-ტიტულოვან საუნჯეს მხოლოდ ულეგენდურეს დიაცთა — ავსტრალიელი მარგარეტ სმით კორტისა (62) და მარტინა ნავრატილოვასი (56) ალემატება*



ხის ჩოგანი, კლასიკური სამოსი და მოძრაობები, ღერა-ღერა დავარცხნილი თმა ... როი ემერსონის ძველი, კეთილი დრო

**— რა იყო თქვენი ბრწყინვალე კარიერის უმთავრესი „რეცეპტი"?**

— მე არავითარი რეცეპტი არ მქონია. უბრალოდ ვცდილობდი, ყოველდღიურად განვვითარებულიყავი, სულ უფრო და უფრო უკეთ მეთამაშა. თუკი ჩემს უდიდეს წარმატებებს მოიგონებთ, ყველა ამათგანს გვიანკარიერისას, სადღაც 25 წლის მერე მივაღწიე... არა, არავითარი რეცეპტი არ მქონია, გარდა მძიმე შრომისა და უმკაცრესი დისციპლინისა.

**— ახლაც თამაშობთ?**

— დიახ, თუმცა მხოლოდ ისე, გასართობად, ან მეუღლესთან ერთად, ანაც შვეიცარიაში, საჩოგბურთო ბანაკებში ყოფნისას. ვეტერანთა ტურნირებზე კი აღარ გამოვდივარ.

**— როგორ ფიქრობთ, ახლანდელი ოზი მეჩოგნეები თქვენი თაობის მოთამაშეებთან შედარებით ნაკლებ შეკავშირებულები, ან, თუ გნებავთ, შემეგობრებულები ხომ არ არიან?**

— ჰო, ეს მართლაც ასეა. მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს — ჩვენს დროს ყველაფერი სხვანაირად იყო. საზღვარგარეთ ერთად დავდიოდით, სულ მცირე ექვსი თვის განმავლობაში კორტზე თუ კორტს გარეთ მუდამ ერთად ვიყავით, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ადამიანებს უფრო მეტი საერთო უჩნდებათ და ერთმანეთისთვის უფრო ახლობლები ხდებიან... დღეს კი მოთამაშეები ცალ-ცალკე მგზავრობენ, საჭიროებისამებრ მიდი-მოდიან, ექვსი თვით ქვეყნის დატოვება უკვე არავის უხდება. ბევრ მათგანს ხშირად ოჯახის წევრები, ექიმები და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ არ ახლავს. შედეგად — ისინი ერთმანეთთან იმდენ დროს ვერ ატარებენ და, ცხადია, ვეღარც ისე მეგობრობენ, როგორც ადრე, კეთილ 50-იანებსა თუ 60-იანებში იყო.

**— რას ფიქრობთ წყვილთა შეჯიბრებების შესახებ?**

— ძალიან დამწყდება გული, თუკი წყვილთა შეჯიბრებებს შევცვლევით. არადა, მათი პოპულარობა ყოველწლიურად ეცემა. კარგი იქნებოდა, ტელეარხებს მათთვის უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ. ჩვენი თაობის წარმომადგენლები ორივეგან ვთამაშობდით — ერთეულებშიც და წყვილებშიც. ამ თვალსაზრისით ახლანდელი ქალმეჩოგნეები კაცებს სჯობნიან... პირველი, ვინც ჯუფთებად თამაშს უგანა, ბიორნ ბორგი იყო, ხოლო რამდენადაც მას დიდი სახელი ჰქონდა, ძალიან ბევრმა მოთამაშემ მიბაძა. სწორედ ამიტომაა, რომ მრავალი წამყვანი კაცმეჩოგნე წყვილებში სათამაშოდ თავს აღარ იწუხებს... ჩემი აზრით, სიტუაციას ის თუ გამოასწორებდა, რომ კაცთა შორის სარეიტინგო ქულების დარიცხვისას ერთეულთა შორის მიღწეული წარმატებების გარდა საწყვილოსნო მიღწევებიც გათვალისწინებულიყო. ასეთ შემთხვევაში, მეჩოგნეები უბრალოდ იძულებულები იქნებოდნენ, ეჯუფთავათ.

**— ხომ ვერ მოიგონებთ, ვინ იყო თქვენი უმძაფრესი მეტოქე?**

— ბევრ მძაფრ მოთამაშეს დავპირისპირებივარ, მაგრამ ყველაზე მწარედ მაინც პანჩო გონსალესთან, ჩემზე რვა წლით უფროს ამერიკელ მეჩოგნესთან გამართულ ბრძოლებს ვიხსენებ. მასთან თამაში ყოველთვის მძულდა, მით უფრო, როცა კარიერის ზენიტში იყო. უმძაფრესი, უბასრესი მოთამაშე გახლდათ.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა დაბრუნდეს თუ არა პატრიკ რაფტერი?**

— მისი დაბრუნება ალბათ ჩოგბურთის ყველა ტრფიალის ოცნებაა, რადგანაც პატის სტილი თამაშს უსაშველოდ დააკლდა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მას ძალზედ გაუჭირდება. არა მგონია, დაბრუნებულმა საკმარისად კარგად მოწოდება შეძლოს, და თუკი მაინც დაბრუნდება, მის თამაშს მთლიანად მისი მოწოდების ხარისხი განსაზღვრავს...

**— ბევრი ლაპარაკობს, რომ უკვე დროა, პიტ სამპრასმა ჩოგანი ჩამოკიდოს. თქვენ რას იტყოდით?**

— ვფიქრობ, რომ პიტისთვის წასვლა ჯერ ნაადრევია. მას ჯერ კიდევ შეუძლია, ერთი უიმბლდონიც მოითვალოს. ბალახი ხომ მის სტილს ასე საუცხოოდ შეეხამება... გარიგს თუ შეიმცირებს და ენერგიას გამოიზოგავს, განსაკუთრებული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. ეგეც არ იყოს, მსოფლიოში იმდენი ადამიანია, ვისაც მისი თამაშით ტკბობა სურს.

**— ვინ არიან თქვენი ამჟამინდელი ფავორიტები?**

— ორ მოთამაშეს გამოვყოფდი. ყველაზე მეტად ლეიტონ ჰიუიტს ვქომაგობ — ის დიდებული მებრძოლია, თან ჯერაც უწლოვანია და ძალუძს, კიდევ უფრო განვითარდეს. მასში ყველაზე მეტად ის მხიბლავს, რომ 110 პროცენტით იხარჯება. მეორე, ვისაც ასევე მძლავრი პოტენცია აქვს, მაგრამ დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად მეტი სიმყარე, მეტი სტაბილურობა სჭირდება, როჯერ ფედერერია. ის თითქმის სრულყოფილი მეჩოგნეა, მაგრამ დიდი ტურნირების მსვლელობისას ვერ ახერხებს, მაღალი დონე ბოლომდე შეინარჩუნოს. უამისოდ კი სლემტურნირების მოგება არ გამოვა. თუმცა, ვიმეორებ — მას უდიდესი პოტენცია აქვს და ალაგ-ალაგ ბრწყინვალედაც თამაშობს.

**— ამბობენ, რომ ვეტერან ოზებს ჰიუიტი, მისი ყოყლოჩინობის გამო, მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ. ჩანს, თქვენ მისდამი უკეთესად ხართ განწყობილი...**

— პირველ წლებში ჰიუიტი კორტზე ძალზედ გამომწვევად იქცეოდა, ყვიროდა, მუშტებს იქნევდა... ადრე ასეთ რამეებს არ ვაკეთებდით. მაგრამ ის ნელ-ნელა იზრდება და ცდილობს, ყურადღება საკუთრივ საჩოგბურთო ხელოვნების გარდა ამასაც მიაქციოს — მეტოქის მიმართაც მეტი პატივისცემა გამოავლინოს და მაყურებლისაც. ადრე ის ძალზედ ჭაბუკი, უმწიფარი გახლდათ და მისი უსაქციელობაც ამის ბრალი იყო. ახლა კი ის აშკარად უკეთ იქცევა. სხვაფრივ — ოზები ძალზედ აფასებენ მის მებრძოლ, გაუტეხავ სულს და იმას, რომ კორტზე გასული თავს არ ზოგავს, 110 პროცენტით იხარჯება.

**— რომელი იყო თქვენი უსაყვარლესი ტურნირი?**

— ასეთი ორი მქონდა: უიმბლდონი, რომელიც ყველა დანარჩენ სლემტურნირს ერთი თავით აღემატება და ტურნირი შვეიცარიულ გშტაადში, ალბათ მსოფლიოს ულამაზეს სავანეში, სადაც ნაყოველუიმბლდონევს ჩავდიოდი.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ პროფესიულ ჩოგბურთში დღესდღეისობით ძალიან დიდი ფული „ტრიალებს"?**

— ჰო, ფული მართლაც საკმაოა. შეიძლება ითქვას, რომ მშურს კიდევაც დღევანდელი მოთამაშეებისა, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში ამდენის შოვნას ახერხებენ — ჩვენ დროს ამაზე ვერც კი ოცნებებდი. თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს ახლანდელ მეჩოგნეებს ასეთი ანაზღაურების ღირსად არ ვთვლიდე, ისინი ძალიან ბევრს შრომობენ და სადავო აქ არაფერია. მე მხოლოდ ის მაღარდებს, რომ ბევრი მოთამაშე არც კი ფიქრობს იმაზე, თუ საიდან იწყებოდა ჩოგბურთი და თუ რამდენი რამის გაკეთება უხდებოდათ მოყვარულ ჩოგბურთელებს, მათი თამაში მსოფლიო სპორტად რომ გადაექციათ. კარგი იქნებოდა, თუკი ასეთი უდარდელი, მხოლოდ თავის თავზე მოფიქრალი მეჩოგნეები საკუთრივ ჩოგბურთზეც იზრუნებდნენ და თამაშში იმის მცირედ ნაწილს მაინც ჩააბრუნებდნენ, რასაც მისი მეშვეობით იღებენ...

**— რას ფიქრობთ ზორბა, დაკუნთულ მოთამაშეთა მომრავლებაზე?**

— არა მგონია, ახლანდელი მეჩოგნეები რაღაც განსაკუთრებულად ზორბები და დაკუნთულები იყვნენ. ისინი უბრალოდ უფრო მაღლები არიან, ვიდრე ჩვენი დროის მოთამაშეთა უმეტესობა... მართალია, თამაში უფრო ძალისმიერი და ნაკლებ ნატიფი გახდა, მაგრამ ეს უწინარესად იმის გამო, რომ ჩოგნებიც და ბურთებიც ახლა უფრო სწრაფია. სწრაფი თამაში კი უფრო ძალას ჰგუობს, ვიდრე სინატიფესა და დახვეწილობას.

**— კი მაგრამ, განა თქვენ დროს არ იყვნენ მეჩოგნენი, ვისაც მძლავრი მოწოდება ჰქონდა? თუნდაც არტურ ეში, ჯონ ნიუკომბი ან სტენ სმითი... საინტერესოა, მაშინ თუ საუბრობდა ვინმე თამაშის აჩქარებაზე?**

— მართალი ბრძანდებით, გლაჯუნა მოწოდების მქონენი ჩვენ დროსაც იყვნენ. მაგრამ ხის ჩოგანი რაც უნდა გამეტებით გლიჯოთ, ბურთს ისე მაინც ვერ აჩქარებთ, როგორც ეს ახლა ხდება...

**— თქვენი ნება რომ იყოს, რომელ საჩოგბურთო წესს შეცვლიდით?**

— არცერთს. ჩემი აზრით, ჩოგბურთი სავსებით სრულყოფილი თამაშია. მე კვლავაც სიამოვნებით ვუყურებ 5-სეტიან შეხვედრებს და ვთვლი, რომ ამ თამაშის ხიბლი სწორედ ესაა. მატჩების დამოკლება შესაძლოა მოსახერხებელი იყოს ტელევიზიისთვის, მაგრამ ჩოგბურთს ეს არაფერს ჰმატებს. ასე თუ გაგრძელდა, მალე ისეთ სისულელემდეც მივალთ, როცა თამაშებს ჯანიანი უტვინოები მოიგებენ, ჭკვიანებს კი აღარ მიეცემათ საკმარისი დრო თუ სეტები საიმისოდ, რათა გამარჯვებისკენ მიმავალი გზები გაიკვალონ.



პიტ სამპრასი და მისი კეთილისმსურველი როი ემერსონი





# პატარა ჰუის დიდი ჰაი-ჰუი

**ჩინეთში** „მოკლე წყალზე" ანუ 25-მეტრიან აუზში მიმდინარე მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატმა რამდენიმე სახელიანი სპორტსმენი მოისაკლისა. უმეტესობა გერმანიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და შანხაიში არ ჩავიდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩინეთში მაინც მყარდება მსოფლიოს რეკორდები. 17 წლის მასპინძელმა გოგომ ხი ჰუიმ ორ დისტანციაზე დაამყარა მსოფლიოს რეკორდი.

200-მეტრიან ბრასში ჰუიმ თავისივე, შარშან პარიზში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი დაამხო. მშობლიურ აუზში მან უწინდელი შედეგი 39 მეასედი წამით გააუმჯობესა და 2.18.86 გახადა.

ხი ჰუიმ მეორე რეკორდიც 200-მეტრიან დისტანციაზე მიითვალა, ოღონდ კომპლექსურ გაცურვაში.

თავისივე მსოფლიოს რეკორდს მიუახლოვდა უკრაინელი იანა კლოჩკოვა, თუმცა 1000 მეტრის 4.33.91 წუთში დაფარვამ მხოლოდ ოქროს მედალს დააჯერა.

ვაჟებში ბრიტანელმა ბრაიტონ ჰიკმენმა რეკორდი ვერ დაამყარა, მაგრამ სამი ოქრო კი მიითვალა, ორი 100 და 200-მეტრიან ბატერფლაიში, ერთიც 400-მეტრიან კომპლექსურში.

**ირაკლი ბერტაია**



# გახსოვდეთ. ნონას გორისანი ხართ!

**ნონა გაფრინდაშვილის** მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპზე აღზევების 40 წლისთავთან დაკავშირებით სახელოვან ქალბატონს საჭადრაკო ფესტივალი მოუწყო მისმა ძველმა ტახტის მოცილემ და მეგობარმა ნანა ალექსანდრიამ. მისი, როგორც თბილისის მოსწავლეთა სასახლის კლუბ „ნტნ"-ის დირექტორის თაოსნობით და საქართველოს ოლიმპიური ფონდის დახმარებით გაიმართა საჭადრაკო ტურნირთა სერიალი „ნონას თასი".

ეს ღონისძიება 21 სექტემბერს დაიწყო. ჯერ გაიმართა 10 წლის მოჭადრაკეთა და მოყვარულთა ტურნირები, მერე ფესტივალის შესარჩევი და კადეტთა (16 წლამდე მოჭადრაკეთა შორის), ამ დღეებში კი მთავარი ტურნირიც — ნონას თასი.

მთავარ ტურნირში ასპარეზობა თავად ნონა გაფრინდაშვილმაც ისურვა. მასში მონაწილეობდა მისივე საამაყო მოწაფე ანა მათნაძეც. მოხდა ისე, რომ III ადგილისთვის ბრძოლაში სწორედ აღმზრდელ-აღსაზრდელი შეხვდნენ ერთმანეთს და მოსწავლემ იმარჯვა, ჩემპიონობის ბედი კი ლელა ჯავახიშვილსა და ნათია ჯანჯღავას შორის გამართულმა დამატებითმა ბლიცტურნირმა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მიხეილ მჭედლიშვილი და ბადურ ჯობავა. 1,5:0,5 მოიგო ჯობავამ, მესამეზე ადგილისთვის ბრძოლაში კი ვალერი გაფრინდაშვილმა დავით არუთუნიანს სძლია — 1,5:0,5.

ბოლოს ვაჟთა და ქალთა ტურნირებში გამარჯვებულნი შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც ჯობავამ იმარჯვა.

**ავთანდილ მჭედლიშვილი**



შტეფან ებერჰარტერი ჰერმან მაიერის მოადგილედ დაინიშნა

# ებერჰარტერი: ახალი ჰერმინატორი

**შვედმა** ანია პარსონმა როგორც იქნა, შეწყვიტა ხორვატი იანიცა კოსტელიჩის ცოტა არ იყოს გაჭიანურებული გამარჯვებათა სერია. სლალომში, რომლის მორიგი ეტაპი ასპენში გაიმართა, შვედმა ორი ცდის ჯამში 0,4 წამით აჯობა ამ დისციპლინაში აგერ უკვე მეორე წელია დაუმარცხებელ იანიცას. ხორვატი ასპენშივე გამართულ გიგანტურ სლალომშიც მეორე იყო (გაიმარჯვა გერმანელმა ჰილდა გერგმა) და მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში საგრძნობლად დაწინაურდა. ახლა მას 344 ქულა აქვს. მეორე ადგილზე 202 ქულით ანია პარსონია, მესამეზე — ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია, 182).

პარალელურად კაცები კანადაში ასპარეზობდნენ. ლეიკ ლუისში ორ დისციპლინაში — სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში გაიმართა შეჯიბრება. როგორც ჩანს, ავსტრიელმა შტეფან ებერჰარტერმა საკმაოდ საფუძვლიანად და კარგა ხნითაც დაიკავა თანამემამულის დაუმარცხებელი ჰერმან მაიერის, მეტსახელად ჰერმინატორის ადგილი. მსოფლიო თასის შარშანდელმა მფლობელმა წლევანდელი სეზონიც ბრწყინვალედ დაიწყო და ლეიკ ლუისშიც ასეთივე წარმატებით განაგრძო — ავსტრიელი ორივე დისციპლინაში პირველი იყო. სწრაფდაშვებაში მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ავსტრიელი ჰანეს ტრინკლი და ნორვეგიელი კეტილ ამოდტი, სუპერგიგანტში — ავსტრიელი იოზეფ შტრობლი და შვეიცარიელი დიდიე კუში. საერთო ჩათვლაში ლიდერობს ებერჰარტერი — 232 ქულა, 160 ქულა აქვს შვეიცარიელ მიხაელ ფონ ვრუნიგენს, 122 — ნორვეგიელ კეტილ ამოდტს.

ამავ დღეებში ფინეთი ტრამპლინიდან მხტომელებსა და სათხილამურო რბოლებს მასპინძლობდა.

კუუსამოში კაცების 15-კილომეტრიანი დისტანცია რუსმა ვასილი როჩევმა მოიგო. ამავე, კლასიკური სტილით, ოღონდ 10 კილომეტრზე ქალები ასპარეზობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მოშხიბლავმა ნორვეგიელმა ბენტე სკარიმ. ხუთი წამი წააგო ესტონელმა კრისტინა შმიგუნმა, 21 — რუსმა ლილია ვასილევამ.

საერთო ჩათვლაში დაწინაურდნენ: კაცებში — ნორვეგიელი ტორ არნე ჰეტლანდი 160 ქულა, ქალებში — გერმანელი ევი სახენბახერი — 129.

მხტომელთა ორდღიანი შეჯიბრება ჯერ სლოვენიელმა პრიმოზ პეტერკამ მოიგო, მერე — ავსტრიელმა ანდრეას ვიდჰოლცმა.

ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი ადამ მალაში ერთ შემთხვევაში მეორე იყო, მეორე დღის ასპარეზობაში — მეოთხე. ურიგოდ არ უასპარეზია ფინელ ვეტერანს იანე აჰონენს — პირველი დღის მესამე ადგილი მეორე დღეს ვერცხლისაზე გადაცვალა. საერთო ჩათვლაში დაწინაურდა სლოვენიელი პრიმოზ პეტერკა — 160 ქულა. შემდეგ მოდიან ანდრეას ვიდჰოლცი (145) და იანე აჰონენი (140).

**ირაკლი ბერიაშვილი**



ანია პარსონი ის ქალია, იანიცა კოსტელიჩი რომ გააჩერა


## იყიდება უნიკალური წიგნები



ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81


რეგულარული ჩემპიონატი

# როგორც იქნა გოლი უფრო ტკბილია



ნიუჯერსელთა ნანატრ გოლს ბრაიან ჯიონტას პატრიკ ელიაში ულოცავს

2 დეკემბერი
**ფილადელფია 0:1 ნიუ ჯერსი**
**0:0 0:0 0:0 0:1**
**0:1 ჯიონტა (63)**

ატლანტის დივიზიონის ბობოლებმა უკვე შეგვაჩვიეს იმას, რომ მათი ყველა თამაში დაძაბული და უკომპრომისოა, მაგრამ შედეგიანობით ვერ გამოირჩევა. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მეტოქეებს ტოლსწორობა არ ეთქმოდათ (ფილადელფია კრიზისშია, ნიუ ჯერსი კი უმატებს). გავიდა 60 წუთი და ანგარიში 0:0 იყო, თუმც მაყურებელს სულაც არ მოუწყენია. ამ თამაშზე ვერავინ იტყვის, მოსაბეზრებელი იყოო. ორივე გუნდი უტევდა, თუმც დაცვა (განსაკუთრებით მეკარეები) საიმედოდ იდგა. მაგრამ ის, რაც ძირითად დროში ადვილია, ოვერტაიმში გაცილებით რთულდება, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ამ დროს გუნდები 4-4-ზე თამაშობენ. ამიტომაც სამიოდ წუთშიც ბლომად მომენტი შეიქმნა. გადამწყვეტი კი დამატებითი დროის მესამე წუთი გახდა. ჯერ სიმონ განიემ ვერ შეძლო ბრწყინვალედ მოთამაშე ნიუ ჯერსის მეკარე მარტინ ბროდოს მოტყუება, მომდევნო შეტევაში კი უკვე სტუმრებმა იხეირეს: ბრაიან ჯიონტამ ოსტატურად შეუცვალა შაიბას მიმართულება და „ეშმაკებს" ზედიზედ მეორე საოვერტაიმო მოგება და დივიზიონის ლიდერობა მოუტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ალმოსავლეთის კონფერენცია** | | | | | | |
| **ატლანტა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 22 | 14 | 1 | 1 | 6 | 58:47 | 30 |
| ფილადელფია | 24 | 11 | 6 | 1 | 6 | 58:54 | 29 |
| პიტსბურგი | 23 | 11 | 3 | 3 | 6 | 75:64 | 28 |
| რეინჯერსი | 27 | 11 | 4 | 0 | 12 | 71:86 | 26 |
| აილენდერსი | 24 | 8 | 3 | 0 | 13 | 62:81 | 19 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 23 | 16 | 3 | 1 | 3 | 82:49 | 36 |
| ოტავა | 22 | 13 | 3 | 0 | 6 | 67:52 | 29 |
| მონრეალი | 24 | 10 | 4 | 1 | 9 | 64:75 | 25 |
| ტორონტო | 24 | 11 | 2 | 0 | 11 | 72:64 | 24 |
| ბუფალო | 23 | 4 | 4 | 1 | 14 | 48:67 | 13 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 25 | 11 | 4 | 3 | 7 | 64:61 | 29 |
| ტამპა | 24 | 12 | 3 | 1 | 8 | 77:66 | 28 |
| ფლორიდა | 25 | 7 | 6 | 4 | 8 | 63:79 | 24 |
| ვაშინგტონი | 25 | 10 | 2 | 0 | 13 | 63:75 | 22 |
| ატლანტა | 23 | 7 | 1 | 1 | 14 | 65:88 | 16 |
| **ალმოსავლეთის კონფერენცია** | | | | | | | |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 24 | 13 | 3 | 1 | 7 | 74:59 | 30 |
| სენტ ლუისი | 23 | 13 | 2 | 1 | 7 | 80:62 | 29 |
| ჩიკაგო | 24 | 10 | 3 | 0 | 11 | 55:57 | 23 |
| კოლუმბუსი | 24 | 9 | 2 | 2 | 11 | 70:73 | 22 |
| ნეშვილი | 23 | 4 | 4 | 4 | 11 | 49:67 | 16 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 24 | 15 | 4 | 0 | 5 | 76:58 | 34 |
| მინესოტა | 25 | 13 | 5 | 0 | 7 | 67:55 | 31 |
| ედმონტონი | 24 | 11 | 4 | 1 | 8 | 63:61 | 27 |
| კოლორადო | 25 | 8 | 8 | 3 | 6 | 65:62 | 27 |
| კალგარი | 25 | 6 | 3 | 3 | 13 | 52:78 | 18 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 27 | 15 | 5 | 1 | 6 | 86:56 | 36 |
| ლოს ანჯელესი | 24 | 10 | 4 | 3 | 7 | 66:64 | 27 |
| ანაჰაიმი | 25 | 9 | 6 | 3 | 7 | 61:65 | 27 |
| ფინიქსი | 25 | 8 | 4 | 1 | 12 | 60:78 | 21 |
| სან ხოსე | 24 | 8 | 2 | 2 | 12 | 67:77 | 20 |

## თვის მოთამაშე

### დან კლუტიე (ვანკუვერი)



როცა გუნდი ერთი თვის განმავლობაში ზედიზედ 10-ჯერ იგებს, ცხადია, თვის ლაურეატად მის ერთ-ერთ წარმომადგენელს აირჩევენ. ისიც უეჭველია, რომ იგი მეკარე იქნება. მით უმეტეს, თუ 10 თამაშიდან 9-ში ის იცავდა კარს. მიხვდებოდით, ეს 26 წლის დან კლუტიეა, რომელმაც ნოემბერი მართლაც რომ ჩინებულად ჩაატარა. მთლიანად ამ თვეში მან 12-ჯერ დაიცვა გუნდის კარი და 11 მატჩი მოაგებინა (მხოლოდ ერთი წააგო). საშუალოდ ერთ მატჩში მხოლოდ 2,15 შაიბას უშვებდა, რაც ასევე ექსტრაკლასის მაჩვენებელია.

...შარშან, როცა ვანკუვერი კლუტიეს იმედზე დარჩა, ბევრი გუნდს მძიმე მომავალს უწინასწარმეტყველებდა, თუმც ძალიან შეცდნენ. სადღეისოდ ვანკუვერი ლიდერია, კლუტიემ კი, თუ ასე გააგრძელა, ეგებ ჟოზე თეოდორის შარშანდელი გმირობაც კი გაიმეოროს და სეზონის MVP-ს მაძიებელთა შორის მოხვდეს.

თვის საუკეთესო ახალბედად კოლუმბუსელი რიკ ნეში აღიარეს. წლევანდელი დრაფტის N1 თავის პირველსავე სეზონში ამტკიცებს, რომ მისი გუნდის ბოსები არჩევანში არ შემცდარან. რიკ ნეშმა ნოემბერში 9(4+5) ქულა მიითვალა.

**საუკეთესო ექვსეული**

*დან კლუტიე (ვანკუვერი, 1); დიკ ტარნსტრიომი (პიტსბურგი, 1) — სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი, 1); მარიო ლემიე (პიტსბურგი, 2) — ჯო ტორნტონი (ბოსტონი, 1) — მარიან ჰოსა (ოტავა, 1)*

## კვირის მოთამაშე

### ჯო ტორნტონი (ბოსტონი)



დილით ფული — საღამოს სკამები, საღამოს ფული — დილით სკამები. ილფისა და პეტროვის უკვდავი ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები ზედგამოჭრილია ჩვენს გმირზე — როგორც კი ჯო ტორნტონი ლიგის ლაურეატი გახდა, მეორე სასიამოვნო ამბავმაც არ დაახანა — გუნდმა მას ერთწლიანი, გაცილებით ხელსაყრელი კონტრაქტი გაუფორმა...

კვირა კი მართლაც საუცხოოდ ჩაატარა 23 წლის ბოსტონელმა ჰოკეისტმა — სამ მატჩში 3 გოლი და 4 პასი მიითვალა, რითაც გუნდს ძალიან დაეხმარა ჩემპიონატის თავში მოქცევაში. თავად ტორნტონი კი 33 ქულით მეორეა შეუდარებელი მარიო ლემიეს შემდეგ ბომბარდირთა სიაში. მთავარი კი მაინც ის არის, რომ წლეულს კაპიტნად არჩეულმა ტორნტონმა იმ ავანსების გამართლება დაიწყო, რომელიც მასზე 1997 წელს გაიცა. მაშინ დრაფტზე პირველ ნომრად არჩეულმა ჯომ უმალ როდი გამოიჩინა თავი, აი, წლეულს კი გუნდის ნამდვილ ლიდერად იქცა.

**საუკეთესო ექვსეული (25 ნოემბერი — 1 დეკემბერი)**

*დან კლუტიე (ვანკუვერი, 1); ტომ პოტი (რეინჯერსი, 1) — დან ბოილი (ტამპა, 1); მიქაელ ნიულანდერი (ჩიკაგო, 1) — ჯო ტორნტონი (ბოსტონი, 2) — პიერ ტარჯონი (დალასი, 1)*


## იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.

ფასი 2 000 $

**ტელ: 22-23-15**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაინც პატივით

ამ უქმეებზე რუსთა ჩოგბურთის გუნდმა პარიზშივე სძლია ფრანგებს და ისტორიაში პირველად მოიგო დევისის თასი. მარცხით დამწუხრებული ფრანგები მაინც ზალისითა და კეთილგანწყობით მიიღო პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ელისეს სასახლეში. მარცხი მარცხია, მაგრამ ოფლისღვრა უნდა დაფასდესო. ასე რომ მარცხნიდან დგანან: საფრანგეთის სპორტის მინისტრი ჟან-ფრანც ლამური, ჩოგბურთელები პოლ-ანრი მათიო, ნიკოლა ესკუდე, ჩოგბურთელთა პრეზიდენტი კრისტიან ბიმე, დევისის თასის გუნდის მწვრთნელი, ძველი ვარსკვლავი გი ფორჟე (პრეზიდენტი ელაპარაკება) და შერე მიყოლებით: თანამედროვე მწვრთნელი ტიერი ტულასნი, მოთამაშენი: სებასტიან გროჟანი, ფაბრის სანტორო და გიიომ რაუ. ასევე სხვანიც, ვისი ჩამოთვლაც კიდევ უფრო შორს წაგვიყვანდა.



REUTERS



REUTERS

## ისევ სან სალვადორიდან

ელ სალვადორის დედაქალაქ სან სალვადორში გრძელდება შუა ამერიკისა და კარიბეთის სპორტული თამაშები. ასეთ შეჯიბრებებზე მსოფლიო რეკორდები არ მყარდება, მაგრამ პაექრობა კი ფიცხელია. წყალქვეშ კი გადაუღიათ მექსიკის სინქრონულად მოცურავეთა გუნდის გამოსვლა.

## მორიგი ტუასემბური

ატლანტიკ სიტიში მორიგი ნოკაუტით მოიგო ახალზელანდიელმა ბუთხუზამ, დევიდ ტუამ. ამან მეორე რაუნდშივე დასცა კენტაკელი რასელ ჩასტინი და რეფერ ედი ჯონსონს კი დათვლის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.




REUTERS



REUTERS

## საგაისო ჯირო

მილანში 2003 წლის ჯიროს ველორბოლის პრეზენტაცია გაიმართა. მთავარ კაცად სწორედ წლევანდელი ჯიროს მომგები პაოლო სავოლდელი იყო. საგაისო ჯირო ლეჩეში დაიწყება და მილანში დასრულდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა' გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge